

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

მედეა ხარაიშვილი

**დასაქმების პოლიტიკის მოთხოვნებთან უმაღლესი განათლების სწავლის
შედეგების შესაბამისობის მიღწევის გზები საქართველოში**

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი
გულნაზ ერქომაიშვილი

თბილისი 2023

შინაარსი

შესავალი.....	13
თავი 1. დასაქმების პოლიტიკისა და უმაღლესი განათლების სწავლის შედეგების შესახებ თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომები.....	21
1.1 დასაქმების პოლიტიკის შესახებ თეორიული შეხედულებები და კონცეფციები.....	21
1.2 უმაღლესი განათლების სწავლის შედეგების შეფასების თანამედროვე თეორიები და გამოწვევები.....	38
1.3 ადამიანისეული კაპიტალის ღირებულების გაზომვის თავისებურებები.....	57
თავი 2. დასაქმების პოლიტიკის მოთხოვნების უმაღლესი განათლების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის საზღვარგარეთული გამოცდილება.....	77
2.1 ადამიანისეული კაპიტალის ფაქტორი ეკონომიკურ განვითარებაში და დასაქმების პოლიტიკის გამოწვევები.....	77
2.2 შრომის ბაზრის მოთხოვნები და უმაღლესი განათლების კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის შესაბამისობა ბალტიის ქვეყნებში.....	94
თავი 3. დასაქმების პოლიტიკისა და უმაღლესი განათლების სწავლის შედეგების შესაბამისობის სრულყოფის მიმართულებები საქართველოში.....	107
3.1 დასაქმების პოლიტიკისა და უმაღლესი განათლების სწავლის შედეგების შესაბამისობის არსებული მდგომარეობა საქართველოში.....	107
3.2 დასაქმების პოლიტიკისა და უმაღლესი განათლების სწავლის შედეგების შესაბამისობის სრულყოფის მიმართულებები საქართველოში.....	123
დასკვნები და რეკომენდაციები.....	154
გამოყენებული ლიტერატურა.....	159
დანართები.....	171

აბსტრაქტი

ქვეყნის განვითარების და თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში წარმატების მიღწევა შესაძლებელია ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგების განვითარების ხელშემწყობი ფაქტორების საშუალებით. ყველა ეკონომიკური სფერო მოითხოვს მისთვის შესაბამის განათლების დონეს, ხოლო არსებული განათლება შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს დასაქმების პოლიტიკასთან.

ნაშრომში განხილულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პოტენციური როლი უმუშევრობის შემცირებაში. აღწერილია უმაღლესი განათლების სწავლების შედეგების შესაბამისობა ქვეყანაში არსებულ დასაქმების პოლიტიკასთან მიმართებაში. ნაჩვენებია რა იწვევს უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა შეუსაბამობას არსებული შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, რამდენად მოდის ურთიერთ კორელაციაში მიღებული განათლების დონე და გამომუშავებული უნარები, რამდენად ადაპტირებულია უმაღლესი განათლების სისტემა, შრომის ბაზრის სტრუქტურის ცვალებადობის დროს. გამოკვლეულ იქნა შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების მქონე უმუშევართა გავლენა.

უმაღლესი განათლებისგან მიღებული პირადი თუ სოციალური სარგებელი, მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ პროცესთან, რომელიც ხორციელდება კურსის დამთავრებიდან დასაქმების მიღწევამდე.

უმაღლეს განათლებაში განხორციელებული ინვესტიციების სარგებელი, თვალსაჩინო მაშინ ხდება, როცა უნივერსიტეტის დამთავრების შემდგომ, შესაძლებელი ხდება ისეთი სამსახურის მოძიება, რომელიც შეესაბამება მიღებულ განათლების დონეს. უნივერსიტეტის დამთავრებიდან, მალევე ადეკვატურ სამსახურში კურსდამთავრებულის დასაქმება არის როგორც ამავე ინდივიდების ინტერესის სფერო, ასევე უნდა იყოს საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სახელმწიფოს პრიორიტეტული მიზანი.

მეოცე საუკუნიდან ქვეყნებმა და განსაკუთრებით განვითარებული ქვეყნების დიდმა ნაწილმა დაიწყო თავად ადამიანისეულ კაპიტალის განვითარება ინვესტიციების გზით. განათლება თვალსაჩინოდ უწყობს ხელს ადამიანისეული კაპიტალის განვითარებას, რაც თავის მხრივ განაპირობებს შრომის ღირებულების გაზრდას, ხოლო გაზრდილი ღირებულება აისახება ქვეყნის ეკონომიკის წარმატებაზე.

ადამიანისეული კაპიტალის განვითარება გზას უხსნის ახალ შესაძლებლობებს შრომის ღირებულების გაზრდით, კონკურენტუნარიანობის ამაღლებით და ინოვაციების საშუალებით.

კვლევის მიზანია დასაქმების პოლიტიკის გატარების პარალელურად უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის სრულყოფილი შესწავლა, რათა გამოიკვეთოს თანხვედრა დასაქმებასა და უმაღლეს განათლების სწავლის შედეგებს შორის, ამავე დროს განხილულ იქნას წინააღმდეგობის გამომწვევი ფაქტორები. ანალიზის შემდგომ განიმარტოს მიღებული შედეგების მონაცემები და შემუშავდეს რეკომენდაციები პრობლემის სწრაფი, დროული და მიზანშეწონილი შემდგომი ქმედებებისთვის.

ნაშრომის მიზნიდან გამომდინარე გაანალიზებულია დასაქმების პოლიტიკის და უმაღლესი განათლების თეორიული ასპექტები, შესწავლილია ადამიანისეული კაპიტალის როლი, როგორც დასაქმების პოლიტიკის და უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის მთავარი დამაკავშირებელი ფაქტორი. ჩატარებულ იქნა კვლევა კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციებში უმაღლესი განათლების და კვალიფიკაციის მოთხოვნებთან დაკავშირებით საქართველოში, გამოიკითხა აღნიშნული ორგანიზაციებიდან 144 რესპონდენტი.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა საქართველოში დასაქმებულების გენდერული, შუალედური და მაღალი რგოლის მენეჯერების ბალანსი, დამსაქმებლების დამოკიდებულება უმაღლესი განათლების მიმართ, მათი მოთხოვნები კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, დადგინდა პრიორიტეტული დარგები და წარმოჩინდა არსებული პრობლემები კვალიფიციურ კადრებთან დაკავშირებით.

ნაშრომში დასკვნის სახით წარმოდგენილია დასაქმების პოლიტიკის და უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის თანხვედრის მიღწევისთვის შემუშავებული რეკომენდაციები. ამასთან შესწავლილია ქვეყნის ადამიანისეული კაპიტალი და მისი უფრო მეტად განვითარებისთვის საჭირო მიმართულებები იქნა მიზნად დასახული, რადგან სწორედ აღნიშნული ფაქტორის მიზნობრივი განვითარება განაპირობებს თანამედროვე დასაქმების პოლიტიკასა და უმაღლესი განათლების სწავლის შედეგების შესაბამისობას.

Absrtact

In the conditions of the country's development and modern globalization, it is possible to achieve success through factors promoting the development of important sectors of this economy. Every economic field requires an appropriate level of education, and the existing education must be in line with the employment policy.

The paper discusses the potential role of higher educational institutions in reducing unemployment. The relevance of higher education teaching results in relation to the existing employment policy in the country is described. It is described what causes the inconsistency of higher education graduates with the existing labor market requirements, how the level of education received and developed skills are correlated, how the higher education system is adapted to the changing structure of the labor market. The impact of the unemployed with higher education on the labor market was investigated.

While investment in higher education is appropriate for both individuals, targeted support from the state through investment is an important and necessary action.

The personal and social benefits derived from higher education are closely related to the process that takes place from the completion of the course to the achievement of employment.

The benefits of investments in higher education become visible when, after graduating from university, it becomes possible to find a job that corresponds to the level of education received.

After graduating from the university, the employment of the graduate in an adequate job is the field of interest of the same individuals, as well as the priority goal of the educational institutions and the state.

Since the twentieth century, countries, and especially a large part of developed countries, have started to develop their own human capital through investments. Education visibly contributes to the development of human capital, which in turn leads to an increase in the value of labor, and the increased value affects the success of the country's economy.

Human capital development paves the way for new opportunities by increasing the value of labor, increasing competitiveness and innovation.

The purpose of the study is to conduct a comprehensive study of the higher education system in parallel with the implementation of the employment policy, in order to highlight the congruence between employment and higher education learning outcomes, at the same time to consider the factors causing resistance. After the analysis, interpret the data of the obtained results and develop recommendations for quick, timely and appropriate further actions of the problem.

Based on the aim of the paper, theoretical aspects of employment policy and higher education are analyzed, the role of human capital as the main connecting factor of employment policy and higher education system is studied.

A study was conducted regarding the requirements of higher education and qualification in private and state organizations in Georgia, 144 respondents from the mentioned organizations were interviewed.

As a result of the research, the balance of gender, middle and high-level managers of employees in Georgia, the attitude of employers towards higher education, their requirements regarding qualifications, prioritized fields and the existing problems related to qualified personnel were identified.

In conclusion, the paper presents the recommendations developed in order to achieve the convergence of the employment policy and the higher education system. At the same time, the country's human capital was studied and the directions necessary for its further development were set as the target, because it is the targeted development of the mentioned factor that determines the relevance of the modern employment policy and higher education learning outcomes.

დიაგრამები

დიაგრამა:3.1.1 დასაქმებულთა განაწილება დასაქმების სტატუსის მიხედვით(%)	113
დიაგრამა: 3.1.2 უმუშევრობის დონე ქალაქ-სოფლის ჭრილში (%).....	115
დიაგრამა: 3.1.3 უმუშევრობის დონე საქართველოში (%)	116
დიაგრამა: 3.2.1 რესპონდენტთა სქესი (%)	145
დიაგრამა: 3.2.2 რესპონდენტთა თანამდებობა (%)	145
დიაგრამა: 3.2.3 ორგანიზაციის ტიპი (%).....	146
დიაგრამა: 3.2.4 ორგანიზაციის ადგილმდებარეობა (%).....	146
დიაგრამა: 3.2.5 დასაქმებულთა რაოდენობა (%).....	147
დიაგრამა: 3.2.6 ორგანიზაციის წლიური ბრუნვა(%).....	147
დიაგრამა: 3.2.7 შრომის ბაზარზე ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების დეფიციტია? (%).....	148
დიაგრამა:3.2.8 შექმნია თქვენს ორგანიზაციას პრობლემები ახალი კადრების/თანამშრომლების კვალიფიკაციასთან დაკავშირებით? (%).....	149
დიაგრამა: 3.2.9 რა მიზეზებით იყო განპირობებული ახალი თანამშრომლის მოძიება? (%).....	149
დიაგრამა: 3.2.10 ორგანიზაციის საქმიანობის სფერო (%).....	150
დიაგრამა:3.2.11; განათლების მიღწეული დონის მიხედვით რომელ პირებს აქვთ დასაქმების მაღალი შანსი? (%).....	150

დიაგრამა: 3.2.12 ჩამოთვლილთაგან რომელ ფაქტორ(ებ)ს ითვალისწინებთ ყველაზე მეტად თქვენს ორგანიზაციაში უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა დასაქმებისას? (%).....	151
დიაგრამა: 3.2.13 თქვენი აზრით, რით არის განპირობებული თქვენს ორგანიზაციაში დასაქმებული ახალი პერსონალის არასათანადო დონე? (%).....	152
დიაგრამა: 3.2.14 დაასახელეთ ყველაზე მნიშვნელოვანი კომპეტენციები რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს პირი (მაგალითად: უნივერსიტეტის კურსდამთავრებული) თქვენს ორგანიზაციაში რომ დასაქმდეს: (%).....	152
დიაგრამა:3.2.15 პროფესიული მომზადების თვალსაზრისით რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელთა გაუმჯობესებას საჭიროებენ თქვენთან დასაქმებული უმაღლესი განათლების მქონე თანამშრომლები: (%).....	153

სქემები

სქემა: 1.2.1 ინვესტირების შედეგად მიღებული ურთიერთკავშირი მწარმოებლურობასა და ასაკს შორის.....	49
სქემა:1.3.1ინოვაციური ინდექსის გადაადგილება ცოდნის გაუფასურების მაჩვენებლამდე.....	67
სქემა: 1.3.2 ადამიანისეული კაპიტალის დაგროვების წყაროები.....	70
სქემა:1.3.3 ფართო გაგებით ეროვნული ადამიანისეული კაპიტალის ფორმირების წყაროები.....	71
სქემა: 2.1.1 ადამიანისეული კაპიტალის გაზომვის მეთოდების კლასიფიკაცია.....	91
სქემა: 2.2.1 ლიეტუვას პროგრესის სტრატეგიის მიზნები 2020 და 2030 წლებისთვის	105
სქემა: 3.1.1 უმაღლესი განათლების სისტემა საქართველოში	110

ნუსხა

ნუსხა: 1.3.1 - ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD)-ის მიხედვით ადამიანისეული კაპიტალის გაზომვა57

ცხრილები

ცხრილი: 1.2.1 ონლაინ განათლების განვითარების ეტაპები აშშ-ში.....	53
ცხრილი: 3.1.1 დასაქმება და უმუშევრობა	112
ცხრილი: 3.1.2 მიგრაციის მიხედვით დემოგრაფიული მდგომარეობა 2017-2021 წლებში	112
ცხრილი: 3.1.3 სამუშაო ძალის გამოკვლევა (%).....	119
ცხრილი: 3.1.4 სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე განათლების მიღწეული დონის მიხედვით (%)	120
ცხრილი: 3.1.5 დასაქმების დონე განათლების მიღწეული დონის მიხედვით (%).....	121
ცხრილი: 3.1.6 უმუშევრობის დონე განათლების მიღწეული დონის მიხედვით (%)	122
ცხრილი: 3.2.1 დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი დაკავებული თანამდებობების/პოზიციების მიხედვით, 2021;	141

აბრევიატურების ჩამონათვალი:

CEE –ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა

EEU- ევროკავშირის აღმოსავლეთის გაფართოება

EMU - ევროპული სავალუტო კავშირი

EPL – დასაქმების დაცვის კანონმდებლობა

GDP - მთლიანი სამამულო პროდუქტი (მთლიანი შიგა პროდუქტი)

HC - ადამიანისეული კაპიტალი

HCI – ადამიანისეული კაპიტალის ინვესტიციები

HCP - ადამიანისეული კაპიტალის ანგარიში

HDI - ადამიანის განვითარების ინდექსი

HDI- ადამიანისეული კაპიტალის განვითარების ინდექსი

HR - ადამიანური რესურსები

IEF - ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი

ILO -შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია

KILM - შრომის ბაზრის ძირითადი მაჩვენებლები

OCA - ოპტიმალური სავალუტო ზონა

OECD - ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია

OPEC - ნავთობის ექსპორტიორ ქვეყანათა ორგანიზაცია (ოპეკი)

QL -მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ინდექსი

STEM- მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიის და მათემატიკის სფერო.

UNDP -გაეროს განვითარების პროგრამა

UNESCO - გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის
ორგანიზაცია (იუნესკო)

შესავალი

თემის აქტუალურობა - ეკონომიკური ზრდის მიღწევა და ქვეყნის განვითარება დამოკიდებულია ადამიანისეული კაპიტალის განვითარების დონეზე. გასათვალისწინებელია, რომ კვალიფიციური და განათლებული ადამიანისეული კაპიტალის დაგროვება განმსაზღვრელია ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის ნაწილში. ადამიანისეული კაპიტალის განვითარება მიიღწევა განათლების საშუალებით, ხოლო მიღებული უმაღლესი განათლება რეალიზდება დასაქმების მიხედვით. ადამიანისეული კაპიტალი თანამედროვე ეკონომიკის და განათლებაზე დაფუძნებული ეკონომიკის, როგორც განვითარებისთვის მაღალი დონის მიღწევის განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორია. აქედან გამომდინარე ადამიანის როლის შესწავლა ეკონომიკაში და მიზანმიმართული დასაქმების პოლიტიკის გატარება არის ის ბერკეტი, რომელიც უპირობოდ განსაზღვრავს ქვეყნის წარმატებას.

ჟამთა მსვლელობის პარალელურად, შესამჩნევი ხდება, რომ მატერიალური კაპიტალის ზრდის საუკეთესო მაჩვენებელი დამოკიდებულია ადამიანისეული კაპიტალის ფორმირებაზე.

ადამიანისეული კაპიტალი არის ცოდნის, გამოცდილების და უნარ-ჩვევების კავშირი, რომელთა ერთობლიობა საშუალებას გვაძლევს დავაკმაყოფილოთ საზოგადოების მოთხოვნები. ადამიანისეული კაპიტალის ხარისხს განსაზღვრავს იმ ინვესტიციების რაოდენობა, რომელიც ადამიანის განვითარებისთვის განხორციელდა, აღნიშნულის ფონზე შრომის უნარის გაძლიერებას ხელს უწყობს მიღებული უმაღლესი განათლება და უნარ-ჩვევები. იმისთვის, რომ ადამიანისეული კაპიტალი შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს, საჭიროა კვებაზე, საცხოვრებელზე, კულტურასა და განათლებაზე შესაბამისი სახელმწიფო ხარჯების განხორციელება. ადამიანისეული კაპიტალი განაპირობებს ეკონომიკურ განვითარებას. განვითარებული ადამიანისეული კაპიტალი განსაზღვრავს მაღალი დონის საზოგადოებას, განვითარებულ ოჯახებს, განათლებულ შრომით რესურსს.

იმისთვის, რომ ეკონომიკის მნიშვნელოვანი სექტორები განვითარდეს, ადამიანისეული კაპიტალი უნდა დაიგეგმოს საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით. იგულისხმება: მედიცინის, მაღალი დონის ტექნოლოგიების, მენეჯმენტის, პრიორიტეტული დარგების ხელშეწყობა და რაც მთავარია განათლების დონის ამაღლება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ადამიანისეული კაპიტალის ფორმირების პროცესის გავლენის კვლევა ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე საკმაოდ აქტუალური და მნიშვნელოვანია.

ადამიანისეული კაპიტალი არის არამატერიალური აქტივი, რომელიც არ არის ჩამოთვლილი კომპანიის ბალანსში. ადამიანისეული კაპიტალი მოიცავს თვისებებს, როგორცაა დასაქმებულის გამოცდილება და უნარები, ვინაიდან ყველა თანამშრომელი არ შეიძლება იყოს თანაბარი გამოცდილების და უნარების მქონე, დამსაქმებელს შეუძლია ადამიანისეული კაპიტალის გაუმჯობესება, მისი დასაქმებულების სწავლა-განათლებასა და მოტივაციის ამაღლებაში ინვესტიციების განხორციელების გზით. ადამიანისეულ კაპიტალს აქვს კავშირი ეკონომიკურ ზრდასთან, პროდუქტიულობასთან და მომგებიანობასთან.

განათლება და გადამზადება არის არაპირდაპირ კავშირში დოვლათის შექმნასთან. ეს ურთიერთობა დაკავშირებულია მაკროეკონომიკურ ბუნებასთან, რომელიც გამომდინარეობს განათლების პოლიტიკის ანალიზიდან და ახსნიდან. ცოდნა არის ინოვაციის წყარო და ეკონომიკური ზრდის შედეგი. ადამიანისეულ კაპიტალს განათლების საშუალებით შეაქვს უდიდესი წვლილი ეკონომიკური ზრდაში.

დასაქმების პოლიტიკა მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ დამსაქმებლებმაც და დასაქმებულებმაც გაითავისონ მათი შესაბამისი სამუშაო ურთიერთობები. გარკვეული სახის სწორ პოლიტიკას შეუძლია გააძლიეროს დამსაქმებლის პოზიცია და განსაზღვროს დასაქმებულის ქცევა.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის მიზანია საქართველოში სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებში დასაქმებულთა განათლებისა და კვალიფიკაციის დონის კვლევა

და დასაქმების პოლიტიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიღწევის ეფექტიანი გზების განსაზღვრა.

დასახული მიზნის მისაღწევად განისაზღვრა შემდეგი ამოცანების შესრულება:

- J დასაქმების პოლიტიკისა და უმაღლესი განათლების სწავლის შედეგების შესახებ თეორიული ასპექტების გაანალიზება;
- J ადამიანისეული კაპიტალის აქტუალურობისა და როლის განსაზღვრა დასაქმების პოლიტიკაში;
- J უმაღლესი განათლების გავლენის შესწავლა და განვითარებადი ქვეყნების ძირითადი გამოწვევების გამოკვეთა მაღალი დონის ადამიანისეული კაპიტალის ჩამოყალიბებაში;
- J ბალტიის ქვეყნებში განხორციელებული განათლებისა და დასაქმების პოლიტიკის ანალიზი და მათი გამოცდილების გათვალისწინება საქართველოში მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში;
- J საქართველოს კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციებში უმაღლესი განათლებისა და კვალიფიკაციის მოთხოვნების შესახებ დასაქმების კრიტერიუმების კვლევა;
- J დასაქმების პოლიტიკის მოთხოვნებთან უმაღლესი განათლების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის მიღწევის გზების განსაზღვრა საქართველოში.

კვლევის საგანი და ობიექტი. კვლევის საგანს წარმოადგენს დასაქმების პოლიტიკასთან უმაღლესი განათლების სწავლის შედეგების შესაბამისობის მიღწევის გზები საქართველოში, ხოლო კვლევის ობიექტია დასაქმების პოლიტიკის განსაზღვრა.

კვლევის მეთოდოლოგია. კვლევის პროცესში გამოყენებულია ანალიზისა და სინთეზის, რაოდენობრივი და თვისებრივი, ინტერვიუ/გამოკითხვის, დედუქციის, განზოგადების და მონაცემთა ანალიზის მეთოდები.

დასაქმების პოლიტიკასთან უმაღლესი განათლების სწავლის შედეგების შესაბამისობის კვლევის მიზნით ჩატარდა სამაგიდე კვლევა ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ნაშრომების (Scopus, Web of Science, Google Scholar, Researchgate), საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშების, სამეცნიერო ელექტრონულ პორტალებზე განთავსებული

მასალების გამოყენებით; კვლევის ემპირიულ ბაზად განისაზღვრა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაცემები და წლიური ანგარიშები, გლობალური სტატისტიკური ინტერნეტ-რესურსები და სხვა.

არსებული დასაქმების პოლიტიკისა და უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლების შესაბამისობის დადგენის მიზნით ჩატარდა დასაქმებულთა კვლევა კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციებში. იგი განხორციელდა საქართველოში არსებული უმაღლესი განათლებისა და კვალიფიკაციის მოთხოვნის შესწავლის საფუძველზე. გამოიკითხა 144 შუალედური და მაღალი რგოლის მენეჯერები. კვლევაში მონაწილეობდნენ ორგანიზაციების წარმომადგენლები დედაქალაქიდან და საქართველოს 10 რეგიონიდან. მათი უმეტესობა 62.5 % საქმიანობას ახორციელებს ქ. თბილისში, საქმიანობის სფეროს მიხედვით 16.7 % დასაქმებულია სახელმწიფო სამსახურში, 10.4 % საფინანსო და სადაზღვეო საქმიანობაში, 8.3 % საკონსულტაციო ორგანიზაციაა, 8.3 % მოიცვა ტრანსპორტირებამ, ლოჯისტიკამ და დისტრიბუციამ, 8.3 % განაწილდა განათლების სფეროებში და სხვა. გამოიკითხვა ჩატარდა კითხვარის გაგზავნის ფორმით, „Google Forms“-ის გამოყენებით, ციფრული არხების მეშვეობით. ძირითადი შეკითხვები ეხებოდა იმ გამოწვევებს, რომელთა წინაშეც დგანან ორგანიზაციებში დასაქმების საკითხთან დაკავშირებით და განხილულ იქნა მათი მოთხოვნები უმაღლესი საგანმანათლებლო ორგანიზაციების მიმართ.

კვლევის მეცნიერული სიახლე. წინამდებარე ნაშრომი მოიცავს კვლევის შემდეგ მეცნიერულ სიახლეებს:

- 1) ბალტიის ქვეყნებში განათლებისა და დასაქმების პოლიტიკის განხილვა და მათი გამოცდილების გათვალისწინება საქართველოში მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში;
- 2) საქართველოში კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციებში დასაქმებულთათვის უმაღლესი განათლებისა და კვალიფიკაციის მოთხოვნის კვლევა და იმ

ნაკლოვანებების გამოვლენა, რომლებიც აფერხებენ ორგანიზაციების ეფექტიან განვითარებას.

- ქ) განაალიზებულია საქართველოში უმაღლესი განათლების ეფექტიანობის თავსებადობა დასაქმების პოლიტიკის მოთხოვნებთან;
- ქ) შეფასებულია საქართველოს მთავრობის მიერ უმაღლესი განათლების ხელშეწყობისათვის და დასაქმების პრობლემების შემცირებისთვის გატარებული ეკონომიკური პოლიტიკა.
- ქ) განხილულია შრომის ბაზრის ინსტიტუციური სისუსტეები.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოს ადამიანისეული კაპიტალის საფუძვლიანი კვლევა, განსაზღვრულია მისი როლი უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში და დასაქმების პოლიტიკის გატარებაში. წამოჭრილია ქვეყანაში არსებული პრობლემები, გამოწვევები, საჭიროებები და სამომავლო პერპექტივები განვითარების თვალსაზრისით. კვლევის შედეგები, დასკვნები და წარმოდგენილი რეკომენდაციები, შეიძლება გამოყენებულ იქნას ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლების მიერ ადამიანისეული კაპიტალის, დასაქმებისა და უმაღლესი განათლების გამოწვევების გადასაჭრელად. ვვარაუდობთ, რომ იგი სასარგებლო იქნება მკითხველთა იმ კონტიგენტისთვის, ვინც ჩართულია დასაქმების პრობლემების მოგვარებასა და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის პროცესში. ნაშრომის გამოყენება შესაძლებელია სასწავლო მიზნებისთვისაც, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების შემდეგ სალექციო კურსებში: დასაქმების პოლიტიკა და ადამიანისეული კაპიტალის ფორმირების პოლიტიკა.

კვლევის შედეგების აპრობაცია და პუბლიკაცია. კვლევის შედეგები წარდგენილ იქნა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში და გამოქვეყნდა რამდენიმე რეფერირებად და რეცენზირებად საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ:

1. Kharaisvili M. (2023). Directions for improving the compliance of employment policy and learning outcomes of higher education in Georgia, journal Ecoforum; *(გაგზავნილია გამოსაქვეყნებლად)*.
2. ხარაიშვილი მ. (2023). ადამიანისეული კაპიტალის ფაქტორი ეკონომიკურ განვითარებაში და დასაქმების პოლიტიკის გამოწვევები. *ჟურნალი „ეკონომისტი“; (გაგზავნილია გამოსაქვეყნებლად)*.
3. ხარაიშვილი მ. (2023). დასაქმების პოლიტიკისა და უმაღლესი განათლების სწავლის შედეგების შესაბამისობის სრულყოფის მიმართულებები საქართველოში. *საქართველოს ეკონომისტთა V ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია „საქართველოს ეკონომიკის პოზიციონირება კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში“; (გაგზავნილია გამოსაქვეყნებლად)*.
4. ხარაიშვილი მ. (2022). უმაღლესი განათლების რეფორმის შედეგების შესაბამისობა საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ბალტიისპირეთის ქვეყნებში. *ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“*. თბილისი, გვ. 558-562;
5. ხარაიშვილი მ. (2022). უმაღლესი განათლების გამოწვევები COVID -19 პანდემიის პირობებში. *თსუ - უნივერსიტეტის დაარსებისა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „COVID 19 პანდემია და ეკონომიკა“*, თბილისი, გვ.436-441;
6. ხარაიშვილი მ. (2021). ადამიანისეული კაპიტალის ფაქტორი ეკონომიკურ განვითარებაში და დასაქმების პოლიტიკის გამოწვევები. *თსუ -VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“*, თბილისი, გვ.452-456;
7. ხარაიშვილი მ. (2017). მოსახლეობის ცხოვრების დონის უთანასწორობა და მისი გავლენა ადამიანისეული კაპიტალის ფორმირებაზე. *ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის*

ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ეკონომიკური განვითარების სტრუქტურული და ინოვაციური პრობლემები“, თბილისი, გვ. 551-555;

8. ხარაიშვილი მ. (2016). ფინანსური კრიზისების ფორმირების არსი და მისი გავლენა მსოფლიოს ეკონომიკაზე, *ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“* თბილისი, გვ. 608-611;

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა. ნაშრომი შედგება კომპიუტერზე ნაბეჭდი 177 გვერდისაგან. იგი შეიცავს: შესავალს, სამ თავს, შვიდ ქვეთავს, დასკვნებს, რეკომენდაციებს, გამოყენებულ ლიტერატურასა და დანართს.

ნაშრომის პირველ თავში განხილულია დასაქმების პოლიტიკის შესახებ თეორიული შეხედულებები და კონცეფციები, დასაქმების პოლიტიკის სახეები, მისი აქტუალურობა თანამედროვე სამყაროში, არსებული სიძნელეები და მეცნიერთა შეხედულებები. განხილულია უმაღლესი განათლების სწავლის შედეგების შეფასების თანამედროვე თეორიები, გამოწვევები და მისი კავშირი დასაქმების პოლიტიკასთან. გაანალიზებულია ადამიანისეული კაპიტალის ღირებულების გაზომვის თავისებურებები და მისი კავშირი დასაქმების პოლიტიკასთან.

ნაშრომის მეორე თავში გაანალიზებულია ადამიანისეული კაპიტალის ფაქტორი ეკონომიკურ განვითარებაში, მასზე უმაღლესი განათლების გავლენა და მისი როლი დასაქმების პრობლემის მოგვარებაში. განხილულია ყოფილი საბჭოთა კავშირის წევრი ბალტიის ქვეყნების უმაღლესი განათლების სისტემა და დასაქმების პოლიტიკის საკითხები. სიღრმისეულად შესწავლილია აღნიშნული ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ეტაპები და ხაზგასმულია მისი ევროკავშირის წევრობის დადებითი მხარეები.

ნაშრომის მესამე თავში შეფასებულია საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა და დასაქმების პოლიტიკის მოთხოვნები. შესწავლილია დასაქმების პოლიტიკისა და უმაღლესი განათლების სწავლის შედეგების შესაბამისობის არსებული მდგომარეობა

საქართველოში. დადგენილია დასაქმების პოლიტიკის ხელისშემშლელი გარემოებები და მისი მოთხოვნები უმაღლესი განათლების სისტემის მიმართ. განხილულია მოთხოვნადი პროფესიები და სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ქმედებები მათი წახალისების მიზნით. ხაზგასმულია, სახელმწიფოს როლი პროფესიული უნარების განვითარებაში. წარმოდგენილია კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციებში დასაქმებულთათვის უმაღლესი განათლების და კვალიფიკაციის მოთხოვნის კვლევა საქართველოში, რომლის შედეგების მიხედვით გაანალიზებულია ორგანიზაციების მოთხოვნები კადრების მიმართ და განსაზღვრულია შრომის პროდუქტიულობის ხელშემწყობი ფაქტორები.

თავი 1. დასაქმების პოლიტიკისა და უმაღლესი განათლების სწავლის შედეგების შესახებ თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომები

1.1 დასაქმების პოლიტიკის შესახებ თეორიული შეხედულებები და კონცეფციები

ნებისმიერ ქვეყანაში დასაქმების პოლიტიკის მიზანია დასაქმების ზრდის უზრუნველყოფა. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია დასაქმების აქტიური და პასიური პოლიტიკის შეფასება. დასაქმების აქტიური პოლიტიკა განისაზღვრება, როგორც დასაქმების სახელმწიფო სამსახურის მიერ უმუშევართათვის დასაქმების სხვადასხვა მომსახურების შეთავაზება, რომელიც შეიძლება წარმოდგენილი იყოს კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების შეთავაზებით, გადამზადებით და ა.შ., ხოლო პასიური დასაქმების პოლიტიკა გულისხმობს უმუშევართა ადეკვატური ფინანსურ მხარდაჭერას უმუშევრობის პერიოდში, მის მთავარ ინსტრუმენტად ითვლება უმუშევრობის დაზღვევის სისტემა. უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისგან დასაქმების აქტიური და პასიური პოლიტიკა და „მიწოდების მხარის“ და „მოთხოვნის მხარის“ პოლიტიკა. აღსანიშნავია, რომ შრომის ბაზრის როგორც პასიური, ისე აქტიური პოლიტიკის ძირითადი ზომები მიწოდების მხარის დასაქმების პოლიტიკაა. იგი გულისხმობს იმას, რომ ძალისხმევა მიმართულია უმუშევრებზე, მათი უნარებისა და კომპეტენციების გაძლიერებაზე, კონსულტირებასა და ზოგადად დახმარებაზე, რომ ისინი მარტივად დაბრუნდნენ შრომის ბაზარზე. მიწოდების მხარის დასაქმების პოლიტიკაა ამჟამად აქტუალური, როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში (დიაკონიძე ა. 2020).

განვიხილოთ „მოთხოვნის მხარის“ დასაქმების პოლიტიკა. იგი გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან ისეთი სახის ჩარევას, რომელიც ხელს უწყობს სამუშაო ადგილების შექმნას. სახელმწიფოს მხრიდან ხდება მეწარმეობის განვითარებისთვის საჭირო პროგრამების ინიცირება, შექმნა და რეალური განხორციელება. ასეთ შემთხვევაში უმუშევარ ადამიანებს სურვილი უჩნდებათ თვითდასაქმდნენ და განავითარონ კერძო საქმიანობა. მოთხოვნის მხარის პოლიტიკად შესაძლებელია განვიხილოთ დასაქმების ისეთი საჯარო პროგრამები, როდესაც სახელმწიფო სხვადასხვა პროექტებს იყენებს

დასასაქმებლად. განვიხილოთ ასევე „სუბსიდირებული დასაქმება“ - როდესაც კონკრეტული ჯგუფის წარმომადგენლებისთვის (შეიძლება მოისაზრებოდეს ომის ვეტერანები, შშმ პირები და ა.შ.) დასაქმების წასახალისებლად სახელმწიფოს მხრიდან ხდება მათი ხელფასის სრული ან ნაწილობრივი სუბსიდირება და აქედან გამომდინარე დამსაქმებელიც არის მოტივირებული დასასაქმოს ეს ადამიანები.

ქვეყანაში ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისა და არსებული სოციალური პრობლემების გადაჭრისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების უზრუნველყოფას, რომელშიც უმთავრესი როლი შრომის ბაზრისა და დასაქმების აქტიური პოლიტიკის შემუშავებამ და მისმა შემდგომმა პრაქტიკულმა რეალიზაციამ უნდა შეასრულოს (ცარციძე მ. 2019).

ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ქვეყნებში ეკონომიკური განვითარებისა და დასაქმების პოლიტიკებს შორის მჭიდრო, ლოგიკური კავშირი არსებობს. კერძოდ, ინდუსტრიალიზაციის წინა პერიოდში, უმუშევრობის შესამცირებლად ქვეყნები ისეთი სექტორების განვითარებაზე არიან ორიენტირებული, რომლებიც დაბალტექნოლოგიურია, თუმცა დიდი რაოდენობით მუშახელს მოითხოვს (Soon & Stoever,1996).

დასაქმების პოლიტიკის გატარებისას მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს ადამიანისეული კაპიტალის ფორმირებაზე. ადამიანისეული კაპიტალი ეკონომიკური განვითარების მაღალი დონის მიღწევის განსაზღვრის მნიშვნელოვანი ფაქტორია. მასზე გავლენას ახდენს განათლება, ცოდნა, უნარები, კომპეტენციები, დამოკიდებულება, ჯანმრთელობა და კეთილდღეობა. ინვესტირება ადამიანისეულ კაპიტალში, ისევე როგორც ინვესტირება ფიზიკურ კაპიტალში, ზრდის პიროვნებების შრომის პროდუქტიულობას, მას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს შრომისუნარიანობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ განვითარებაზე. კვალიფიციური სამუშაო ძალის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფს როგორც შრომის პროდუქტიულობის გაზრდას, ასევე, წარმოებაში ინვესტიციების მოზიდვას.

ადამიანისეული კაპიტალის ფორმირება გულისხმობს ქვეყნის მოსახლეობის შესაძლებლობისა და უნარების დონის განსაზღვრას. მოსახლეობის დიდი ნაწილის

პასუხიმგებლობების გარდაქმნის მიზნით ადამიანისეული კაპიტალის ფორმირებისთვის სხვადასხვა ღონისძიებების გატარება აუცილებელია (Kwatiah N. 2016).

ადამიანისეული კაპიტალი არის მოსახლეობის უნარების ეკონომიკური ღირებულება. ადამიანისეული კაპიტალის კონცეფციის მიხედვით დასაქმებულთა შრომისუნარიანობის ხარისხი გაუმჯობესდება აღნიშნულ კაპიტალში ინვესტირების გზით. დასაქმებულთა განათლება, გამოცდილება და შესაძლებლობები დამსაქმებლებათვის და ეკონომიკისთვის ეკონომიკური ღირებულებაა (Kenton W. 2020).

როდესაც ვსაუბრობთ ადამიანისეული კაპიტალის ფორმირებაზე, საჭიროა ყურადღება გავამახვილოთ ადამიანათა საუკეთესო უნარების განვითარებაზე. უნარების წარმოქმნა შრომას და შესაბამისი განათლების მიღებით მიიღწევა, ამიტომ, ადამიანისეული კაპიტალის განვითარებისთვის უნდა დაიგეგმოს გრძელვადიანი პოლიტიკა. ადამიანისეული კაპიტალის ფორმირება ასე გულისხმობს დასაქმებულთა მხრიდან შესაბამის მზაობას თვითგანვითარებისთვის.

ადამიანისეულ კაპიტალში მნიშვნელოვანია ადეკვატური ინვესტიციების განხორციელება, წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნება წარმოების ფაქტორების გამოყენების დაბალ ტემპს, რაც გამოიწვევს განვითარების ჩამორჩენას. აქედან გამომდინარე, ადამიანისეული კაპიტალის მაღალი დონის მისაღწევად უნდა შეიქმნას ახალი, მრავლისმომცველი სამთავრობო სამსახურები, უნდა დაინერგოს მიწათსარგებლობისთვის ახალი სისტემა და შემუშავდეს სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის სრულყოფილი და ახალი მეთოდები, მნიშვნელოვანია ადეკვატური და მიზნობრივი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინდუსტრიალიზაციის გაძლიერება და რაც მთავარია განათლების სისტემაში ევროპის შესაბამისად რეფორმის გატარება.

ინოვაციები ან ტრადიციული საზოგადოების ცვლილებების პროცესი მოითხოვს დიდი რაოდენობით სტრატეგიულ ადამიანისეულ კაპიტალს.

ადამიანისეული კაპიტალის თეორია შემოთავაზებულია საერთო ანალიტიკური ჩარჩოს სახით, რათა აიხსნას ერთი შეხედვით, სხვადასხვა მოვლენების წვლილი ეკონომიკაში, როგორებიცაა განათლების გავლენა ეკონომიკური ზრდაზე, მოთხოვნა

განათლებლასა და ჯანდაცვაზე, დასაქმებულთა ასაკის დინამიკა, განსხვავება მდებარეობით და მამრობითი სქესის მუშაკთა ანაზღაურებაში, ეკონომიკური უთანასწორობის გადაცემა თაობიდან თაობაზე და ბევრი სხვა.

განვასხვავოთ ერთმანეთისგან ფიზიკური და ადამიანისეული კაპიტალი. პირველ რიგში, დღევანდელ საზოგადოებაში ადამიანი - განსხვავებით დანადგარისგან ან სააქციო პაკეტისგან - არ შეიძლება იყოს ყიდვა-გაყიდვის საგანი (აღნიშნული შესაძლებელი იყო მხოლოდ მონათმფლობელურ ეკონომიკაში). შედეგად ბაზარზე ყალიბდება ადამიანისეული კაპიტალის დაქირავების ფასი ხელფასის სახით, მაშინ როცა მისი აქტივის ფასი არ არსებობს. მეორე - ადამიანისეულ კაპიტალს შეუძლია გაზარდოს სამუშაოს ეფექტიანობა ბაზარზე და არასაბაზრო სექტორში, მას შეუძლია შემოსავალი მიიღოს როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ანგარიშსწორებით. შედეგად, ინვესტიცია ადამიანისულ კაპიტალში არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე წარმოებაში.

კიდევ ერთი სფერო, სადაც ადამიანისეული კაპიტალის თეორიას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ეს არის ეკონომიკური უთანასწორობის პრობლემის ანალიზი. არათანაბარ მდგომარეობაში მოთხოვნა ადამიანისეულ კაპიტალში ინვესტირებაზე ასახავს უთანასწორობას სტუდენტების ბუნებრივ შესაძლებლობებში, ხოლო უთანასწორო მიწოდება იწვევს მათი ოჯახების ფინანსური რესურსებზე არათანაბარ ხელმისაწვდომობას. ადამიანისეული კაპიტალის განაწილების სტრუქტურა და შესაბამისად მოგება იქნება მით უფრო არათანაბარი, რაც უფრო ინდივიდუალურია ცვალებადობა.

ადამიანისეული კაპიტალის თეორიის იდეას აქვს სერიოზული გავლენა სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკაზე. ამის გამო შეიცვალა დამოკიდებულება ადამიანისეულ კაპიტალში ინვესტიციების განხორციელებისადმი. მასში ინვესტირება გაიგივდა, როგორც მწარმოებლურობის გრძელვადიანი ეფექტიანობის უზრუნველყოფა. ამან ხელი შეუწყო თეორიულ დასაბუთებას იმისთვის, რომ დაჩქარებულიყო განათლების განვითარება და კადრების გადამზადება მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

ადამიანისეული კაპიტალის თეორია, სადაც განათლება დიდ როლს თამაშობს, როგორც „გამთანაბრებელი“, გახდა დასაქმების პოლიტიკის საორიენტაციო თეორია.

კერძოდ, დაიწყო სასწავლო პროგრამების გადახედვა, როგორც სიღარიბესთან ბრძოლის ეფექტიანი ინსტრუმენტისა, ეს ალბათ, უფრო მისაღებია, ვიდრე შემოსავლების პირდაპირი გადანაწილება. მნიშვნელოვანი დასკვნა იყო ის, რომ არსებული საერთო ეკონომიკური უთანასწორობა გამოწვეული მიმდინარე და არა მთლიანი სასიცოცხლო შემოსავლების გაზომვით, გაზვიადებულია. ახალგაზრდებს, რომლებიც ინვესტირებას ახორციელებენ მათ განათლებაში, შეგნებულად ურჩევნიათ საწყის ეტაპზე დაბალი შემოსავალი, რათა შემდეგ ხელმისაწვდომი იყოს მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილი.

„ 70-იან წლებში ადამიანისეული კაპიტალის თეორიას დაუპირისპირდა ეგრეთ წოდებული „ფილტრის“ თეორია (Broadbent, D.E., 1958). (აღნიშნული თეორიის მიმდევრებს შორის შორის არიან ცნობილი ეკონომისტები და სოციოლოგები - ა. ბერგი, მ. სპენსი, ჯ. სტიგლიცი, პ. უილსი.). ამ თეორიის თანახმად, განათლება არის მექანიზმი, რომელიც ახარისხებს ადამიანებს მათი უნარების დონის მიხედვით. ამ ინფორმაციას კომპანიები იღებენ უფასოდ, რაც მათ ეხმარება სამუშაო ადგილზე შეარჩიონ ყველაზე პერსპექტიული კანდიდატები. მაღალ მწარმოებლურობა დაკავშირებულია არა თანამშრომელთა მიერ მიღებული განათლებით, არამედ შესაძლებლობებით, რომელიც მანამდე გააჩნდათ და განათლების მიღების შედეგად გახდა გამოკვეთილი. ფილტრის თეორია ეჭვქვეშ არ აყენებს დიპლომირებული ადამიანის მომგებიანობას, მაგრამ ადამიანების შეფასება მხოლოდ განათლების დონის მიხედვით არ არის ეფექტიანი, რადგან ცნობილია, გაცილებით უფრო მარტივი და იაფი ბიზნეს უნარების შემოწმების მეთოდები. ფილტრის თეორიის არგუმენტები არც თუ ისე დამაჯერებელია, მიუხედავად იმისა, რომ შერჩევასას განათლებამ შეიძლება ხელი შეუწყოს ეფექტიანობის ამაღლებას, დაეხმაროს მომავალ თანამშრომლებს, რომლებსაც არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია საკუთარი შესაძლებლობების შესახებ, უკეთ შეიცნონ საკუთარი თავი და იპოვონ ეკონომიკური სისტემაში ყველაზე შესაფერისი სტატუსი.

ზოგადად, ადამიანისეული კაპიტალის კონცეფცია არის ადამიანისა და კაპიტალის ნაზავი. ეკონომიკური თვალსაზრისით, კაპიტალი ეხება „წარმოების ფაქტორებს, რომლებიც გამოიყენება პროდუქციისა და მომსახურების შექმნისთვის და უშუალოდ არ

მონაწილეობენ თვითონ საწარმოო პროცესში" (Human Capital and its Measurement, 2009). ეკონომიკურ პერსპექტივაში კაპიტალის მნიშვნელობასთან ერთად, ადამიანს ექვემდებარება ყველა ეკონომიკური საქმიანობა, როგორცაა წარმოება, მოხმარება და გარიგება. ამ კონცეფციების ჩამოყალიბებისას შეიძლება აღიარებულ იქნას, რომ ადამიანისეული კაპიტალი ნიშნავს იმ ერთ-ერთ მარტივ ელემენტს, რომელსაც შეუძლია დამატებით ღირებულების გენერირება.

ადამიანისეულ კაპიტალს განსაკუთრებული ადგილი თავის კვლევებში დაუთმო ადამ სმიტმა. ინტელექტუალური ისტორიის პერსპექტივაში, ადამ სმიტმა შეძლო ადამიანისეული კაპიტალის კვლევა მიკროეკონომიკაში. შედეგის სიმარტივე იმაში მდგომარეობს, რომ შესწავლილ უნდა იქნეს ადამიანისეული კაპიტალი, როგორც კატეგორია, მაშინ როცა სხვა მატერიალურ, ფიზიკურ კაპიტალს ადამ სმიტი იკვლევს მაკრო ქრილში. იგი ყურადღებას ამახვილებს სოციალურ პროდუქტზე, ცოდნის მნიშვნელობასა და ადამიანისეული რესურსების შემოსავალზე, რომელიც გადამწყვეტ როლს თამაშობს ეკონომიკური ზრდის ახსნაში. ადამიანისეული კაპიტალი მოისაზრება, როგორც ტექნოლოგიური ელემენტი კაპიტალურ ფაქტორებში და არა სამუშაო ძალაში. ამ კონტექსტით ადამ სმიტის მოსაზრება უახლოვდება ზრდის ნეოკლასიკურ თეორიას. ადამ სმიტი ეკონომიკაში განათლებას განიხილავს, როგორც ადამიანისეული კაპიტალის თვითმყოფადობას, ბუნებას, რომლის წყაროდ და ღირებულების კრიტერიუმად მიიჩნევა განათლების არჩევანი (Spalletti S., 2014).

ადამ სმიტი ყურადღებას ამახვილებს ტექნოლოგიურ პროგრესზე, რომელიც გამომდინარეობს სამუშაო ძალის მხრიდან. სმიტი ავითარებს იმ იდეას, რომ განათლება და ადამიანისეული კაპიტალი დაკავშირებულია ტექნოლოგიურ კომპონენტებთან კაპიტალურ ფაქტორში. იგი განათლებას აიგივებს ტექნიკასთან (Spalletti S., 2014).

ადამ სმიტი არამარტო განათლების სარგებლიანობას გამოარჩევს, არამედ მიმართავს მთავრობას, გაზარდოს განათლების ხარისხი, გააუმჯობესოს იგი და ეფექტიანად განათავსოს რესურსები განათლებისთვის.

ასევე, საკმაოდ საინტერესო კვლევები აქვს ამ მიმართულებით ნობელის პრემიის ლაურეატს საიმონ კუზნეცს, იგი აღნიშნავს: ინდუსტრიულ მოწინავე ერებში მთავარი კაპიტალის მარაგი, მისი ფიზიკური აღჭურვილობა არ არის. მთავარი არის მყარად შესწავლილი განათლების, ცოდნის მიღება, აღმოჩენები მეცნიერებაში, უნარები და გადამზადებული მოსახლეობა და შემდგომ ამ ცოდნის ეფექტიანი გამოყენება (Fogel W.R., Guglielmo M., and Grotte N. 2013) .

საიმონ კუზნეცის მოსაზრებით მოსახლეობის ზრდა იწვევს ინვესტიციების ზრდას ადამიანისეულ კაპიტალში მდიდარ ქვეყნებში, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს ზრდა განპირობებულია სიკვდილიანობის შემცირებით. შემდგომ ინვესტიციების უკუგება მიემართება ბავშვთა განათლების დაფინანსების ზრდისკენ. უფრო მეტიც, სამომავლო მოლოდინი უფრო დიდი ბაზრებს და ფართო შესაძლებლობებს წახალისებს მოსახლეობას, როგორც პიროვნულად, ასევე მატერიალურად. ზრდის და გაფართოების ტენდენცია წახალისებს ინვესტირებებს ახალ პროდუქტებში და სხვადასხვა პერსპექტიულ საწარმოებში.

ასევე, მნიშვნელოვანია ამერიკელი ეკონომისტის თეოდორ შულცის შრომები, რომელმაც მიიღო ნობელის პრემია ეკონომიკური განვითარების კვლევებისთვის, სადაც იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს განვითარებადი ქვეყნების პრობლემებს. მან თავის კვლევაში, ასევე, ყურადღება გაამახვილა ადამიანისეულ კაპიტალზე. ტერმინი „ადამიანისეული კაპიტალი“ გამოიყენა 1960 წელს, რათა აღეწერა ადამიანის შესაძლებლობების ღირებულება. მას სჯეროდა, რომ ადამიანისეული კაპიტალი, იგივეა, რაც სხვა დანარჩენი კაპიტალი. ადამიანისეულ კაპიტალში, მისი მოსაზრებით შესაძლებელი იყო განხორციელებულიყო ინვესტიციები განათლებაში, გადამზადებაში, ამით გაზრდილიყო სარგებელი, რაც წარმოების ხარისხს და დონეს გააუმჯობესებდა.

ორგანიზაციებში ხშირად აღნიშნავენ, რომ ისინი იმდენად კარგები არიან, რამდენადაც მათთან მომუშავე ადამიანები. დირექტორები, დამსაქმებლები და ლიდერები, რომლების შეადგენენ ადამიანისეულ კაპიტალს, კრიტიკულად უყურებენ თავიანთ წარმატებას. ადამიანისეული კაპიტალის მართვა ხდება ორგანიზაციის ადამიანისეული კაპიტალის

მენეჯმენტის დეპარტამენტში, რომელიც ძირითადად გამოხატულია ადამიანისეული რესურსების განყოფილებაში. ადამიანისეული კაპიტალის მენეჯმენტის დეპარტამენტი ორგანიზაციის სამუშაო ძალის მიღებას, მენეჯმენტს და ოპტიმიზაციას ადევნებს თვალყურს. ადამიანისეული კაპიტალის მენეჯმენტის დეპარტამენტის სხვა ფუნქციები არის სამუშაო ძალის დაგეგმვა და სტრატეგია, დასაქმება, დასაქმებულთა გადამზადება და განვითარება, ხოლო შემდგომ შესაბამისი ანგარიშების შედგენა და ანალიზი.

თეოდორ შულცის მიხედვით არსებობს ხუთი გზა ადამიანისეული რესურსების გაუმჯობესებისთვის.

I - ჯანდაცვის დაწესებულებების მიერ ისეთი სერვისებისა და ხარჯების გაწევა, რომელიც გავლენას ახდენს მოსახლეობის ცხოვრების ხანგრძლივობაზე, სიძლიერეზე, სიცოცხლის უნარიანობაზე, ენერჯიულობაზე;

II - სამსახურში თანამშრომლების გადამზადება და მათი განათლების ხელშეწყობა;

III - განათლების ოფიციალური ორგანიზება დაწყებით, საშუალო და უმაღლეს დონეზე;

IV - სასწავლო პროგრამები მოზარდებისთვის, რომელიც ასევე მოიცავს გაფართოებულ პროგრამებს სოფლის მეურნეობაში;

V-ინდივიდუალური და ოჯახური მიგრაციები შესაბამის სამუშაო ადგილზე დამკვიდრებისთვის (Kwatiah N. 2016).

მნიშვნელოვანია მილტონ ფრიდმენის კვლევები, რომელიც ყურადღებას ამახვილებდა განათლების დონის ამაღლებაზე.

პროფესიული განათლების მიღება განსხვავდება ზოგადი განათლებისგან. აქ იგულისხმება ინვესტიციების განხორციელება ადამიანისეულ კაპიტალში ისეთივე ფორმით, როგორც ეს ხდება მშენებლობებში, ტექნოლოგიებში და სხვა ადამიანისეული კაპიტალისგან განსხვავებულ წარმოებაში. ეს ინვესტირება არის ადამიანისეული კაპიტალის ნაყოფიერების ზრდის საშუალება. თუ მოხდება ინვესტირება ადამიანისეულ კაპიტალში, საწარმო ჯილდოს სახით მიიღებს გაზრდილ უკუგებას. განსხვავება ადამიანისეულ კაპიტალში გაწეულ ხარჯებსა და საწარმოო ტექნიკაში გაწეულ ინვესტირებას შორის არის ის, რომ პირველ შემთხვევაში ვიღებთ ეკონომიკურ სტიმულს და

მეორე შემთხვევაში დამატებით შემოსავალს. ორივე შემთხვევაში დამატებით მიღებული შემოსავალი უნდა დაბალანსდეს გაწეულ ხარჯებთან მიმართებაში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ საჭიროა ალტერნატივის სწორი ამორჩევა, მოხდეს ადამიანისეული კაპიტალის გადამზადება, თუ განახლდეს საწარმოო ტექნიკა. პროფესიული განათლებისთვის მთავარ ხარჯს წარმოადგენს გადამზადების პერიოდში მიღებული დანახარჯები, ასევე, ის სპეციალური დანახარჯები, რომელიც თავს იჩენს წიგნების, გადამზადებისთვის საჭირო ინვენტარის და პედაგოგების მომსახურებისათვის, აღნიშნული გარკვეულ წილად ინტერესის დაკარგვას იწვევს ინვესტიციის განხორციელებაში, რადგან უკუგების პერიოდი გარკვეული დროით გადაიდება, მანამ სანამ ტრენინგი დამთავრდება. ფიზიკური კაპიტალის შემთხვევაში მთავარ დანახარჯებს წარმოადგენს მშენებლობაზე გაწეული დანახარჯები და ყურადღება გამახვილებულია მშენებლობის პერიოდში მიღებულ სარგებელზე. ორივე შემთხვევაში შესაძლებელია სასურველი სარგებლის მიღება, თუ მოსალოდნელი დამატებითი შემოსავალი გადააჭარბებს, მოსალოდნელ დამატებით ხარჯებს. თუ ინვესტორები ჩადებენ ინვესტიციებს, ხოლო სახელმწიფო არ მიიღებს მონაწილეობას ამ ინვესტირებაში და არც გადასახადებზე გაწევს შეღავათებს, მაშინ არსებულ პარტნიორებს მოუწევთ ყველა ხარჯის გაღება და მიიღებს შესაბამის დამატებით შემოსავალს. ცხადია ის ხარჯები და შემოსავლები, რომელიც პირად ინტერესებს ემსახურება, გამიჯნულია სისტემურად შესაბამისი საზოგადოებისგან. თუ ინვესტიციების განხორციელება ადამიანისეულ კაპიტალში, ისეთივე სიმარტივეს წარმოადგენს, როგორც ინვესტიციების ჩადება ფიზიკურ აქტივებში, შესაბამისად ინვესტორები ინვესტირებას განსაზღვრავენ შემოსავლის პროცენტის მიხედვით, რის გამოც აკვირდებიან ორ მიმართულებას: თუ შემოსავლის მიღების ალბათობა მეტია ადამიანისეული კაპიტალისგან განსხვავებულ სფეროში, მაშინ თანხების მობილიზება ხდება ამ სფეროში, ნაცვლად პროფესიული გადამზადებისა და პირიქით. დამტკიცებული ფაქტია, რომ სარგებლის დონე, გადამზადებაში განხორციელებული ინვესტიციებიდან გაცილებით დიდია, ვიდრე - ფიზიკური აქტივებიდან (Friedman, 1955).

ამერიკელი მეცნიერი რობერტ სოლოუ ცნობილია მისი ნაშრომებით ეკონომიკური ზრდის თაობაზე, რომელსაც შემდგომ ეწოდა ეგზოგენური ზრდის მოდელი.

რობერტ სოლოუმ მის მოდელში განიხილა ადამიანისეული კაპიტალი. მისი მოდელი გამოიყენება ქვეყნის მწარმოებლურობის და კაპიტალის აკუმულირების განსაზღვრისთვის, რომლის საბოლოო ეფექტიანობაზე გავლენას ახდენს ადამიანისეული კაპიტალი. მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალის დაგროვების განტოლება ანგარიშდება დანაზოგების განაკვეთის, კაპიტალის ცვეთის და ტექნოლოგიური ზრდისთვის, ადამიანისეული კაპიტალის ცვლადის დამატებისას, იცვლება ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის მაჩვენებელი.

ადამიანისეული კაპიტალი შეიძლება აიხსნას, როგორც ეფექტიანი უნარის მქონე შესაძლებლობები სამუშაო ძალაში და სოლოუს მოდელი ითვალისწინებს, რომ ყველა სამუშაო ძალის მიერ დროის ინვესტირება ახალი უნარების განვითარებაში გაზრდის მათ ეფექტიანობას.

ადამიანისეული კაპიტალი ანუ „H“ შედგება ორი ნაწილისაგან: „U“ - ანუ დრო - დახარჯული უნარების განვითარებისთვის და „P“ - ანუ იგივე - პროცენტული ცვლილება უნარების გაუმჯობესებაზე დახარჯული დროის ყოველ ერთეულზე

ქვეყნის დონეს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ადამიანისეული კაპიტალის ფაქტორი, რომლის მიხედვითაც ქვეყნები შეიძლება დაიყოს მდიდრად და ღარიბად.

როდესაც ცნობილია მწარმოებლურობის დონე, ასევე კაპიტალის ღირებულება თითოეულ მუშაზე. გამოშვება თითოეულ მუშაზე და განათლების მიღწევების დონე შესაძლებელია განისაზღვროს ქვეყნის ღირებულება „A“. ამ „A“ ღირებულების მეშვეობით მსოფლიოს ქვეყნები შეიძლება შედარდეს თითოეულ მუშაკზე მწარმოებლურობით და გამოთვლილ იქნეს პროდუქტიულობის ღირებულება. ქვეყნები შეიძლება შედარდეს პროდუქტიულობასა და გამოშვებას შორის ჩამოყალიბებული კავშირის მიხედვით.

განსაზღვრულია, რომ პროდუქტიულობის სხვაობა არის 15% ყველაზე მდიდარ და ყველაზე ღარიბ ქვეყნებს შორის, ხოლო მწარმოებლურობა თითოეულ მუშაკზე დაახლოებით 40-ჯერ მეტია ყველაზე მდიდარ ქვეყანაში, ყველაზე ღარიბთან შედარებით. სოლოუს მოდელის საშუალებით, ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ, თუ რა გავლენას ახდენს

ქვეყნების მწარმოებლურობაზე ისეთი ეგზოგენური ცვლადი, როგორც არის ქვეყანაში არსებული განათლების დონე და უნარების მიღწევები. ზოგადი 8 წლიანი დაკვირვების შედეგად საშუალო განათლების მიღწევების დონეს შორის სხვაობა მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის გვამღევს 200%-იან სხვაობას ადამიანისეული კაპიტალის განსაზღვრისას .

რობერტ სოლოუს მოდელის მიხედვით ადამიანისეული კაპიტალი მნიშვნელოვან როლს თამაშობს მწარმოებლურობასა და თითოეულ მუშაკზე გამოშვებას შორის განსხვავების დადგენაში. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ კაპიტალდაბანდება აკუმულირდება თითოეულ მოსახლეზე, ცვლის ადამიანისეულ კაპიტალს თითოეულ დასაქმებულზე დადებითი მიმართულებით მდგრადი მდგომარეობისას.

შეფასებულია, რომ ეროვნული განათლების პოლიტიკის ცვლილება განიხილება, როგორც შემდგომში GDP-ს სამომავლო ზრდა და ეს ცვლილება იწვევს დადებით ზრდას (Jones Charles I. 1996).

რობერტ სოლოუს მოდელში ზემოთხსენებული პრინციპების განხილვისას, რომელიც წინა ხაზზეა წამოწეული, ჩვენ შეგვიძლია უკეთ განვსაზღვროთ განათლების დონე აშშ-ში და იმ ქვეყნებშიც, სადაც სიღარიბე მზარდია.

სიმცირე და არჩევანის თავისუფლების საშუალება ახასიათებს ყველა რესურსს, რა ფორმაშიც არ უნდა მოიაზრებოდეს: პოლიტიკური პროცესების ჩარჩოებში, ოჯახურ დამოკიდებულებაში, სამეცნიერო კვლევით ორგანიზაციებში და ა.შ. უსასრულოდ. ეს ეკონომიკური შრომის განსაზღვრის სპექტრი იმდენად დიდია, რომ არც თუ ისე იშვიათად ეკონომისტებს ურთიერთწინააღმდეგობაში აგდებს და საჭირო ხდება მისი არასაბაზრო ქცევის შესწავლა.

ეკონომიკური ქცევა არის უნიკალური, რადგან მას ძალუმს ინტეგრაციაში მოაქციოს მრავალი სხვადასხვა ფორმა ადამიანისეული ქცევებისა. ეკონომიკური ქცევა არის ქმედებების მაქსიმალური შესაძლებლობების გამოვლინება უფრო თვალსაჩინო და ფართო დიაპაზონი ვიდრე სხვა ქცევები, ასე რომ, საქმე შეიძლება მივიდეს ფუნქციების მაქსიმალიზაციის სარგებლიანობაზე და სიმდიდრეზე, ეს იქნება: ოჯახი, ფირმა, პროფკავშირი, თუ ხელისუფლება.

სტაბილურობა განისაზღვრება და მისაღებია არა საბაზრო პროდუქციის (მაგალითად, ფორთოხლის წარმოების, ავტომობილების და სამედიცინო მომსახურებასთან კავშირში), არამედ მთავარი ობიექტის არჩევით, რომელსაც იღებს ნებისმიერი დიასახლისი, რომელიც ამისთვის იყენებს საბაზრო პროდუქტებს და მომსახურებას პირად დროსა და საჭირო რესურსებში. იგი გამომდინარეობს ადამიანისეული ურთიერთობებიდან, მათი ცხოვრების ფუნდამენტური ასპექტიდან, ისეთი როგორცაა: ჯანმრთელობა, პრესტიჟი, დასვენება, სიამოვნება, სიკეთე და შური; ეს ყველაფერი არასდროს არ არის სტაბილური, თუ შეიცვლება საბაზრო პროდუქცია და მომსახურება. ადამიანისეული ქცევა არ შეიძლება დაიყოს მიმართულებებად: მაგალითად ის, რომელსაც აქვს მაქსიმალიზაციის უნარი და რომელსაც არ აქვს, ის რომელიც სტაბილურია და არასტაბილურია, ვის მოაქვს ინფორმაცია და ვის არა. ყველა ადამიანისეული ქცევა ხასიათდება იმით, რომ მონაწილე პირები მაქსიმალურად ზრდიან სარგებელს ოპტიმალური ინფორმაციის მოპოვებით და სხვადასხვა რესურსებით უამრავ ნაირგვარ ბაზარზე (Беккер, 2003; 31 – 32).

მნიშვნელოვანია, ასევე, სტენლი ფიშერის კვლევები ადამიანისეულ კაპიტალზე. ამერიკელი ეკონომისტი, რომელიც ეკონომიკურ ზრდას სწავლობს, ეკონომიკური ზრდის ახალ თეორიაში ყურადღებას ამახვილებს ადამიანისეულ კაპიტალზეც.

იგი ფოკუსირებას ახდენს ეკონომიკური ზრდის განმსაზღვრელ სამ მთავარ ფაქტორზე: ადამიანისეული კაპიტალის ფორმირება, ტექნოლოგიური ცვლილება და მაკროეკონომიკური პოლიტიკა.

ადამიანისეული კაპიტალის ფორმირებისთვის მთავარი რჩევა არის განათლების რეფორმის განხორციელება. პირველ რიგში საჭიროა დაფინანსება. ძირითადად ადამიანისეული კაპიტალი თვითონ აფინანსებს თავის თავს და იღებს პირად უკუგებას, ზოგადად ადამიანისეული კაპიტალის სუბსიდირება გართულებულია.

მნიშვნელოვანია ამერიკელი მკვლევარების კლაუდია გოლდინისა და ლორენცო კატზის შრომები ადამიანისეულ კაპიტალზე. მათი აზრით ადამიანისეული კაპიტალი არის იმ უნარების მარაგი, რასაც ფლობს სამუშაო ძალა. ამ უნარების გამომჟღავნება ხდება მაშინ, როცა ინვესტირებიდან შემოსავლის უკუგება, აჭარბებს ხარჯებს (ორივე პირდაპირი და

არაპირდაპირი). უნარებიდან მიღებული უკუგება, არის პირადი, იმ თვალსაზრისით, რომ ინდივიდუალების მწარმოებლურობის ზრდა, დამოკიდებულია ისევე ამ ინდივიდუალებზე. მაგრამ სხვა გარეშე ფაქტორების მეშვეობით ადამიანისეული კაპიტალის ზრდა, იწვევს სხვათა მწარმოებლურობის მოცულობის ზრდას. ისტორიულად დაკვირვებებიდან გამომდინარე ადამიანისეული კაპიტალის ხარისხი დამოკიდებულია ორ მთავარ კომპონენტზე. ეს არის: განათლება - გადამზადება და ჯანმრთელობა. ინსტიტუტები, რომლებიც მუშაობენ ადამიანისეულ კაპიტალში ინვესტიციების წახალისებაზე, მსჯელობენ ეკონომიკურ ზრდაში ადამიანისეული კაპიტალის როლზე. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ადამიანისეული კაპიტალის შესწავლა მნიშვნელოვანია.

მათი მოსაზრების მიხედვით ადამიანისეულ კაპიტალში განხორციელებული ოპტიმალური ინვესტიციები დამოკიდებულია, სხვადასხვა ფაქტორზე, როგორცაა ყველაზე კარგად ფუნქციონირებადი კაპიტალის ბაზრის ხარისხი და როგორია ეკონომიკური და პოლიტიკური დონე.

ისინი ყურადღებას ამახვილებენ განათლებისა და ტექნოლოგიების უპირატესობის გავლენას ადამიანისეული კაპიტალის მოთხოვნასა და მიწოდებაზე, რომელიც განსაზღვრავს შემოსავლების განაწილებას აშშ-ს შრომის ბაზარზე მეოცე საუკუნეში.

მათ მოყავთ ოთხი სახის არგუმენტი კვლევის მიზანთან დაკავშირებით:

1) ინვესტიციას განათლებაში აქვს მეოცე საუკუნის აშშ-ს საზოგადოებისთვის დამახასიათებელი თვალსაჩინო ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ფესვები;

2) ადამიანისეული კაპიტალი არის ეკონომიკური ზრდის განმსაზღვრელი ფაქტორი, როგორც ეკონომიკური ზრდის საერთო, ისე კონკრეტული გარემოების თვალსაზრისით მეოცე საუკუნის განმავლობაში აშშ-ში;

3) ინვესტიციას ადამიანისეულ კაპიტალში აქვს მთავარი გამათანაბრებელი როლი. ტექნოლოგიური პროგრესი დამოკიდებულია უნარების განვითარებაზე, იგი შეიძლება გაფართოვდეს არათანაბარი უნარების მქონე ადამიანისეული კაპიტალის პირობებში ადამიანისეული კაპიტალის მიწოდების ზრდის საპირისპიროდ. ადამიანისეული კაპიტალის საიმედო თავმოყრა არის მთავარი გამათანაბრებელი ფაქტორი აშშ-ს შრომის

ბაზარზე. არათანაბარი ზრდა ათწლეულების მანძილზე იქნება შედეგი დაგროვებული ადამიანისეული კაპიტალის განვითარების შენელებისა, რომელიც ვერ აუწყობს ნაბიჯებს უნარებზე დაფუძნებულ ტექნოლოგიურ ცვლილებებს.

4) აშშ-ს მნიშვნელოვნად ემუქრება განათლებული ხელმძღვანელობის დაკარგვა, რადგან მისი საგანმანათლებლო ინსტიტუტები დაკნინდა, ამ პრობლემის მოგვარება შეიძლება რეფორმებითა და რეინვესტირებით (Goldin C. 2014).

ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ კლაუდია გოლდინის და ლორენცო კატზის ოთხი მთავარი არგუმენტი გამომდინარეობს ადამიანისეული კაპიტალის განსაზღვრის თეორიიდან, მათ მოსაზრებებში დიდი წვლილი აქვს შეტანილი ამერიკელი ეკონომისტის გარი ბეკერის ადამიანისეული კაპიტალის თეორიას. ადამიანისეული კაპიტალი ამ გადმოსახედიდან ზრდის ერთეული შრომის ეფექტიანობას, შესაბამისად შრომას ხდის უფრო პროდუქტიულს. ასევე ადამიანისეული კაპიტალი პოტენციურად გამოყენებადია ყველა სამუშაოსთვის, ამოცანისთვის და ინდუსტრიისთვის. ადამიანისეულ კაპიტალზე მოთხოვნა ყველა მფლობელისათვის არ არის მუდმივი, რადგან ზოგი აქტივობა იწვევს უფრო უნარტევადი საქმიანობის შესაბამისი მწარმოებლურობის ზრდას, აქედან გამომდინარე შემცირდება იმ უნარის ღირებულება, რომელსაც განათლებული მუშა გამოხატავს.

შრომის ბაზრისა და დასაქმების აქტიური პოლიტიკის ფარგლებში ძალზე მნიშვნელოვანია, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მოსახლეობის ცალკეული სოციალურ-დემოგრაფიული და მოწყვლადი ჯგუფების დასაქმების საკითხებს. შესაბამისად, ამ მიზნით შემუშავებული კონკრეტული პროგრამები უნდა დაეფუძნოს შრომის ბაზარზე თითოეული ჯგუფის ქცევის თავისებურებების, მათი უმუშევრობისა და დასაქმების სფეროში არსებული მდგომარეობის სიღრმისეულ ანალიზს, შესწავლას, საფუძვლიან მეცნიერულ კვლევას. მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი, რომ მათმა რეალიზაციამ, საბოლოო ანგარიშით, უზრუნველყოს შრომის ბაზრის რეგულირების ძირითადი მიმართულებების შესაბამისობა ქვეყნის განვითარების სხვა სოციალურ-ეკონომიკურ პროგრამებთან (ცარციძე მ. 2019).

ადამიანისეული კაპიტალის განვითარებისთვის განისაზღვრა შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებები:

- შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული სამუშაო ძალის განვითარება;

- სოციალური უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფა;

- ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვის უზრუნველყოფა. (საქართველოს მთავრობა, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020, 2013)

ორგანიზაცია ისეთივე კარგია, როგორ იქ დასაქმებული ადამიანები დაწყებული რიგითი თანამშრომლით, დამთავრებული ტოპ მენეჯმენტით, სწორედ ამის გამო ადამიანისეული კაპიტალი ასეთი მნიშვნელოვანია კომპანიებისთვის. მას როგორც წესი, მართავს ორგანიზაციების ადამიანისეული რესურსების HR დეპარტამენტი, რომელიც ზედამხედველობს სამუშაო ძალის დაქირავებას, მენეჯმენტს და მის ოპტიმიზაციას. მისი სხვა მოვალეობებია: სამუშაო ძალის დაგეგმვა და სტრატეგია, თანამშრომელთა სწავლება და განვითარება, ხოლო შემდგომ ამ ყველაფრის ანალიზი და ანგარიშგება.

ადამიანისეული კაპიტალის კვლევისას, გამოიკვეთა ის ფაქტი, რომ ადამიანების შრომა შესაძლოა თანაბარი თანაბარი არ იყოს. მაგრამ დამსაქმებლებს შეუძლიათ გააუმჯობესონ კაპიტალის ხარისხი თანამშრომლებში ინვესტიციის განხორციელებით. ეს შეიძლება გაკეთდეს თანამშრომლების განათლების, გამოცდილებისა და შესაძლებლობების საშუალებით. ამ ყველაფერს აქვს დიდი ეკონომიკური ღირებულება დამსაქმებლებისთვის და მთლიანად ეკონომიკისთვის.

ისევე, როგორც სხვა ყველაფერმა, ადამიანისეული კაპიტალმაც შეიძლება დაკარგოს ღირებულება. აღნიშნულის შეფასება ხდება ანაზღაურებით, ან სამუშაო ძალაში დარჩენის უნარით. ადამიანისეული კაპიტალის ღირებულების დაკარგვის ყველაზე გავრცელებული მიზეზებია: უმუშევრობა, გარკვეული სახის დაზიანება, გონებრივი დაქვეითება, ან თანამედროვე ინოვაციების ათვისების უნარის არქონა.

განვიხილოთ თანამშრომელი, რომელსაც აქვს სპეციალიზირებული უნარი. თუ მათ მოუწიათ ხანგრძლივი უმუშევრობა, მათ შეიძლება ვერ შეძლონ საჭირო დონის

სპეციალიზაციის შენარჩუნება. ეს იმიტომ ხდება, რომ მათი უნარები შეიძლება აღარ იყოს მოთხოვნადი, როდესაც ისინი კვლავ გაერთიანდებიან სამუშაო ძალაში.

მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ ადამიანისეული კაპიტალის ღირებულება შეიძლება დაქვეითდეს, თუ მათ თანამედროვე ტექნოლოგიებთან და ტექნიკასთან ადაპტირება არ შეუძლიათ. ხოლო, ვინც შეძლებს ადაპტირებას, მისი ღირებულება შესაბამისად გაიზრდება.

საქართველოში შემუშავდა დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების 2021 წლის სახელმწიფო პროგრამა.

პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებებია:

ა) შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემის განვითარება;

ბ) შრომის ბაზარზე ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტირების გაწევა მუნიციპალურ დონეზე;

გ) საშუამავლო მომსახურების მიწოდება განვითარება;

დ) მოწყვლადი, დაბალ კონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობი მექანიზმების შემუშავება და დანერგვა (შრომის ანაზღაურების სუბსიდირების გზით);

ე) დასაქმების ფორუმების მოწყობა;

ვ) ვაკანსიების მონიტორინგი და თვისებრივი კვლევების განხორციელება მინიმუმ წელიწადში ერთხელ;

ზ) სააგენტოს საქმიანობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიების წარმოება;

თ) სოციალურ პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობა;

(საქართველოს მთავრობა და დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების 2021 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ, 2021;

<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5079769?publication=0>);

დასაქმების აქტიური პოლიტიკის გატარება უნდა გახდეს ქვეყანაში უმუშევრობისა და სიღარიბის დაძლევის უმთავრესი ბერკეტი და ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტული ნაწილი.

მნიშვნელოვანია ისეთი დასაქმების პოლიტიკის ჩამოყალიბება, რომელიც დამსაქმებლთა ინტერესებს გაითვალისწინებს. მიზანშეწონილია საერთაშორისო კანონმდებლობის და პრაქტიკის გაცნობა გაზიარება, წარმატებაში დიდ როლს ითამაშებს, ამასთან აუცილებელია იურისტის ჩართულობა, რათა გათვალისწინებულ იქნეს მოქმედი კანონმდებლობა და შესაბამისობაში მოდიოდეს წარმატებული ქვეყნების კანონმდებლობასთანაც. ხოლო წარმატებული დამსაქმებელი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის განმსაზღვრელი საშუალებაა.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (შვეიცარია, ჟენევა) ყველაზე ცნობილი და დამოუკიდებელი საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომლის საქმიანობა მიმართულია მსოფლიოს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ. ფორუმის ანგარიში ქვეყნების ეკონომიკის ძლიერი და სუსტი მხარეების ობიექტური და დამოუკიდებელი ანალიზის საფუძველზე ემსახურება პრაქტიკული წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავებას გრძელვადიანი განვითარებისათვის. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშს 1979 წლიდან აქვეყნებს. ყოველწლიური ანგარიში ადარებს 140-ზე მეტი ქვეყნის ბიზნეს გარემოს და კონკურენტუნარიანობას. კვლევას საქართველო 2004 წელს შეუერთდა. აღნიშნული რეიტინგები გავლენას ახდენენ ინვესტორების განწყობაზე. ინვესტორის დადებითი განწყობა ქვეყნის მიმართ ხელს უწყობს საინვესტიციო ნაკადების ზრდას, რაც ეკონომიკური ზრდისა და დასაქმების ხელშემწყობი მნიშვნელოვანი პირობაა. ეს საკითხი მწვავედ დგას საქართველოში. უმუშევრობა და სიღარიბე ქვეყანაში ჯერ კიდევ გადაუჭრელი პრობლემებია (ერქომაიშვილი, 2016)

1.2 უმაღლესი განათლების სწავლის შედეგების შეფასების თანამედროვე თეორიები და გამოწვევები

უმაღლესი განათლება, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ადამიანის კვალიფიკაციის დონეს და თვითრეალიზაციის ხელშეწყობასაც უზრუნველყოფს.

როცა ვსჯელობთ სოხიალურ პროგრესზე და ეკონომიკურ განვითარებაზე, უნდა აღნიშნოს ადამიანისეული კაპიტალის როლი, როგორც ზემოთ აღნიშნულის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ფაქტორი. განათლება ქვეყნის განვითარებისთვის პრიორიტეტულ დარგად ითვლება და შედეგი მიიღწევა გრძელვადიან პერიოდში.

დასაქმების პოლიტიკის განხილვისას შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნებისთვის შესაბამისი კადრების მოძიება, გადამზადება და ადეკვატური უმაღლესი განათლების მიცემა გასათვალისწინებელია და სამთავრობო დონეზე საზრუნავია. უმაღლესი განათლების დონე ადამიანს საშუალებას აძლევს დასაქმდეს სასურველ სამუშაო ადგილზე და უზრუნველყოს თვითრეალიზაცია. უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში მიღებული გამოცდილება, ცოდნა აისახება სტუდენტის წხოვრების სტილზე, კვალიფიკაციასა და დისციპლინაზე.

უმაღლესი განათლების მიღების მსრუველთა რაოდენობას განსაზღვრავს ხოლმე, მოთხოვნა ბაზარზე უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტისა, ამასთან უმაღლეს სასწავლებლებში არსებული სწავლის ხარისხის სწორი მართვა, კვალიფიციური პედაგოგების არსებობა, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და ფინანსური სტაბილურობა ზრდის აბიტურიენტთა და სტუდენტთა რაოდენობას.

უმაღლესი განათლების სისტემას შეუძლია წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკურ წარმატებაში, რომელიც მიიღწევა ადამიანისეული კაპიტალის ცოდნის გაღრმავებით და უნარების გამომუშავების გზით. უნივერსიტეტებში კვლევითმა საქმიანობამ და ტექნოლოგიებმა შეიძლება მოიზიდოს ახალი ორგანიზაციები ქვეყანაში და ახალმა საქმიანობამ შესაძლებელია დაეხმარება გაუწიოს არსებულ ბიზნესებს ინოვაციაში და

გაფართოებაში. აღნიშნულმა ქმედებამ შეიძლება გაზარდოს ქვეყანაში მოთხოვნა მაღალკვალიფიციურ კადრებზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო ორგანიზაციების საქმიანობა ფოკუსირებული უნდა იყოს უშუალოდ დასაქმების ხელშეწყობაზე და შესაძლებელია არაპირდაპირი გავლენაც მოახდინოს დასაქმებაზე, ხოლო მისი ეკონომიკური აქტივობა ფოკუსირებულია დანახარჯების ანდა დასაქმების ეფექტზე. თუმცა, ეს არის სტანდარტული შეფასება და რეალური მდგომარეობა შეიძლება გასცდეს თეორიულ მიდგომას. ზოგადად უნივერსიტეტებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ ქვეყანაში ადამიანების ცონის ამღლებას და უნარების განვითარებას, ანუ ადამიანისეული კაპიტალის წარმატებულ ჩამოყალიბებას, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ეკონომიკური წარმატების მნიშვნელოვან კომპონენტად. მაღალი დონის ადამიანისეული კაპიტალის მქონე ქვეყნებს აქვთ უფრო მეტი ეკონომიკური წინსვლა და უფრო შედეგიანი ეკონომიკური ზრდა. გარდა ამისა, ამ ქვეყნებში დასაქმებულები უფრო ხარისხიან შედეგს იღებენ და მაღალ ანაზღაურებით გამოირჩევიან, თუმცა კურსდამთავრებულს უწევთ გადაადგილება და ეს მიგრაციის მაღალი მაჩვენებელი ამცირებს ეკონომიკურ ზრდას ქვეყნის უმეტეს ნაწილში. უნივერსიტეტებში განხორციელებული კვლევითი საქმიანობების საშუალებით იქმება ახალი ცოდნა, მუშავდება ახალი ტექნოლოგიები, რომელიც ეხმარება ადგილობრივ ბიზნესს განვითარებაში და შესაძლებლობას ქმნის ახალი ფირმების მოზიდვისთვის ამ სფეროში - რომელიც განაპირობებს მოთხოვნის ზრდას მაღალკვალიფიციურ მუშაკებზე.

აღიარებულია, რომ ქვეყანაში ეკონომიკურ წარმატებას განაპირობებს მისი ადამიანისეული კაპიტალი.

ადამიანისეული კაპიტალის წარმატება, განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკური აქტივობის მაღალ დონეს. ადამიანისეული კაპიტალი ზრდის ინდივიდუალურ დონეზე პროდუქტიულობას და იდეების გენერირებას. გაფართოების მიხედვით, რეგიონს, სადაც უფრო მეტი ადამიანია ადამიანისეული კაპიტალის მაღალი დონეებით, მთლიანობაში უფრო დიდი ეკონომიკური აქტივობა უნდა ჰქონდეს. ადამიანისეული კაპიტალის გეოგრაფიული განაწილება ხელს უწყობს ცოდნის გავრცელებას. ხდება გამოცდილების და

ცოდნის გადაცემა ერთი ინდივიდიდან მეორეზე. ადამიანმა შეიძლება, ურთიერთობით, დაკვირვებით ისწავლოს უნარები მეორისგან; პერსონებს შორის მოსაზრებების გაზიარებამ შეიძლება შექმნას ახალი შეხედულებები, რომლიც ხელს შეუწყობს ცოდნის გაღრმავებას. ადამიანებში ცოდნის გაღრმავება, ზრდის ადამიანისეულ კაპიტალის ხარისხსა და დონეს, რაც თავის მხრივ გაზრდის ქვეყნის ეკონომიკის პროდუქტიულობას, წახალისებს ინოვაციას და ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას.

ქვეყანაში, რაც უფრო მაღალია ადამიანისეული კაპიტალის დონე, მით უფრო მაღალია ხელფასები, უფრო მეტი ინოვაციური პროექტები ხორციელდება, უფრო სწრაფად იზრდება მოსახლეობა, ხელი ეწყობა დასაქმების ზრდას და მეტი სამომავლო პერსპექტივები ისახება. შესაბამისად ეკონომიკაც განიცდის ცვალებადობას დროთა განმავლობაში. მნიშვნელოვანია გამოვიკვლიოთ, რა სახის ფაქტორები განაპირობებს ადამიანისეული კაპიტალის დონეების დიფერენციაციას ქვეყნებს შორის. ასეთი და საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია უმაღლესი განათლების სისტემის დონეებს შორის სხვაობა.

უმაღლესი განათლების მაღალი დონე აყალიბებს კვალიფიციურ კადრებს და იგი დასაქმებულთა რაოდენობის ზრდის საწინდარი ხდება. აღნიშნული სისტემის დახმარებით ადგილობრივი ადამიანისეული კაპიტალის დონის ამაღლების შესაძლებელია ორი გზით:

უპირველეს ყოვლისა, უმაღლეს სასწავლებლებს შეუძლიათ გაზარდონ კვალიფიციური ადამიანისეული კაპიტალის მიწოდება. უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები უშუალოდ ზრდიან ადამიანისეულ კაპიტალს ქვეყანაში, თუ ისინი დარჩებიან ამავე ქვეყანაში და შედიან ადგილობრივ შრომის ბაზარზე.

მეორე - განვითარებადი და კვლევითი საქმიანობის დიდი ნაწილი უნივერსიტეტებში ხდება.

სხვადასხვა განმავითარებელმა აქტივობებმა და კვლევებმა, შეიძლება გაზარდოს ქვეყნის ადამიანისეული კაპიტალის დონე.

თუ ქვეყანაში ადგილი აქვს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას, ეს იწვევს მოთხოვნის ზრდას ადამიანისეულ კაპიტალზე, დამოუკიდებლად იმისა, წარმოიქმნება თუ არა ეს ადამიანისეული კაპიტალი ადგილობრივად.

ეროვნულ დონეზე, უმარლესი სასწავლებლების საშუალებით იზრდება ხაფრისხი, ისინი ცხადად ეხმარებიან ქვეყანას მაღალი დონის ადამიანისეული კაპიტალის შექმნაში. აღნიშნული ქმედება, ყოველთვის არ არის ადგილობრივ დონეზე სრულყოფილი. გასათვალისწინებელია, ის ფაქტი, რომ უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულები ხშირად გადაადგილდებიან. ამიტომ ქვეყანაში, სადაც არიან უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულები, არ ნიშნავს, იმას რომ მეტი მაღალი დონის ადამიანისეული კაპიტალი ეყოლებათ, რადგან შრომის ბაზარზე მიწოდებისა და მოთხოვნის განმსაზღვრელი ფაქტორები მოქმედებს.

უმაღლეს განათლება მიღებულ კურსდამთავრებულებს შეიძლება სურდეთ დარჩენა იმ ქვეყანაში, სადაც მათ მიიღეს ხარისხი, თუმცა შეიძლება ვერ მოახერხონ შესაბამისი სამუშაოს პოვნა. განვმარტავთ, რომ თუ ადგილობრივი მოთხოვნა არ იქნება საკმარისი, კურსდამთავრებულების შესაძლებლობები შეფერხდება, შესაბამისად ადამიანისეული კაპიტალის ეფექტიც არ მოგვცემს მოსალოდნელ შედეგს. ამასთან, უმაღლესი სასწავლებლის ზოგიერთი კურსდამთავრებული შეიძლება არ იყოს დაინტერესებული ამ ქვეყანაში დარჩენით, ამიტომ ისინი ვერ მოიცავენ ადგილობრივ ადამიანისეულ კაპიტალს.

ადგილობრივ ბიზნესსა და აკადემიურ კვლევებს შორის კავშირი შეიძლება სხვადასხვა ფორმით ხდებოდეს. არის მოვლენა, როცა ადგილობრივი ბიზნესი იყენებს უნივერსიტეტის განათლებას და კვლევით ობიექტებს სერვისებისა და პროდუქტების შესაქმნელად.

ბიზნესის განვითარება დამოკიდებულია მაღალი ტექნოლოგიური დონეზე, რაც თავის მხრივ ზრდის მოთხოვნას უმაღლესი განათლების მქონე მუშაკებს, ეს კი ზრდის მოთხოვნას ადამიანისეულ კაპიტალზე.

ადამიანისეული კაპიტალის რაოდენობა არის მისი ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის და გრძელვადიანი ეკონომიკური წარმატების მთავარი განმსაზღვრელი.

უმაღლეს საგანმანათლებლო ობიექტებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ მაღალი დონის ადამიანისეული კაპიტალის მოთხოვნისა და მიწოდების გაზრდას კვლევითი საქმიანობაში

ჩართულობით. შედეგად, უმაღლეს სასწავლებლებს შესწევთ უნარი ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ.

ადამიანისეული კაპიტალის დონის ამაღლების მიზნით განხილულ უნდა იქნეს შემდეგი საკითხები:

- როცა უმაღლესი სასწავლებლები ზრდიან ადამიანისეული კაპიტალის მიწოდებას, შესაძლებელია იყოს მცირე პოზიტიური ურთიერთობა ამ ინსტიტუტების მიერ გამოშვებულ ადამიანისეულ კაპიტალსა და ადამიანისეული კაპიტალის ადგილობრივ მარაგს შორის. ამიტომ პოლიტიკის გამტარებლებს აქვთ შეზღუდული შესაძლებლობები, აამაღლონ ადამიანისეული კაპიტალის დონე ქვეყანაში, ყურადღება გაამახვილონ, მხოლოდ ადგილობრივი კურსდამთავრებულთა რაოდენობის გაზრდაზე.

- შრომის ბაზრზე მოთხოვნის არსებობა მხარე მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან ადგილობრივ კურსდამთავრებულებს სჭირდებათ სამუშაო ადგილები, რომ არ განხორციელდეს მათი მიგრაცია.

შესაბამის ეკონომიკურ პოლიტიკას შეუძლია გადამწყვეტი როლი ითამაშოს ბაზრის ამ მხარის ჩამოყალიბებაში. კერძოდ, ადგილობრივი უნივერსიტეტების კვლევის განზომილების გაძლიერებამ შეიძლება ხელი შეუწყოს ადგილობრივ ეკონომიკაში გავრცელებას, დაეხმაროს ადგილობრივ ბიზნესს გაფართოებაში და სამუშაო ადგილების შექმნაზე, რომლებიც საჭიროებენ მაღალი დონის ადამიანისეულ კაპიტალს. ამ პროცესს შეუძლია გაზარდოს მოთხოვნა კვალიფიციურ მუშახელზე, იქნება ეს მუშები კურსდამთავრებულები, რომლებიც წარმოებულია ადგილობრივად თუ სხვაგან იმპორტირებული. ამრიგად, პოლიტიკის შემქმნელებს, რომლებიც ცდილობენ გაზარდონ რეგიონის ადამიანისეული კაპიტალი ადგილობრივი კოლეჯებისა და უნივერსიტეტების მეშვეობით, შეიძლება მოისურვონ ადგილობრივი შრომის ბაზრის მიწოდების და მოთხოვნის მხარეების განხილვა, რათა მათ შეძლონ ადამიანისეული კაპიტალის მოზიდვა და შენარჩუნება (Abel J. R. and Deitz R. 2011).

ადამიანისეული კაპიტალის სწორი განაწილების განსაზღვრისთვის ბევრი ინსტიტუტი მუშაობს, თუმცა აკადემიური ინსტიტუტების მეტი პოტენციალი გააჩნია,

უფრო ეფექტიანად იქნეს გამოყენებული ადამიანისეული კაპიტალი და მიღწეული იქნას უკეთესი ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება.

დღეს დღეობით უმაღლესი განათლების მიღება ხელმისაწვდომი გახდა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთაც, რაც საშუალებას იძლევა შემცირდეს უთანასწორობა.

ადამიანისეული კაპიტალი სწავლის პროცესში შესამჩნევ გავლენას ახდენს სხვადასხვა სექტორებში. ინვესტიციების განხორციელება ადამიანისეული კაპიტალის განათლებასა და გადამზადებაში, შემდგომში განაპირობებს ანაზღაურების ოდენობას, ფირმების პროდუქტიულობას და რა თქმა უნდა ეროვნული ეკონომიკის ზრდას - ეს მოსაზრება მაკროეკონომიკური ასპექტით იქნა განსაზღვრული, ხოლო მიკროეკონომიკური თვალსაზრისით ფირმის მთავარი კონკურენტული უპირატესობა და ძირითადი კომპეტენციები, გამოწვეულია ადამიანისეული კაპიტალიში ინვესტირებით, რომელიც შესაბამისობაში მოდის არსებულ მოთხოვნებთან.

ადამიანისეული კაპიტალის მნიშვნელობის შესახებ ბევრმა ქვეყანამ უძელო ეფექტიანად შეესწავლა მათი ადამიანისეული კაპიტალი, გააცნობიერეს მათი ამჟამინდელი სტატუსი და შემდგომში განხორციელდა კაპიტალის გაუმჯობესების სხვადასხვა გზები.

ადამიანისეული კაპიტალის გაზომვის აუცილებლობის მიუხედავად, ადამიანისეული კაპიტალის გაზომვის ტრადიციული მეთოდი მოიცავს გარკვეულ შეზღუდვებს. ზოგიერთი მაჩვენებელი შეიძლება რეალურად განიხილებოდეს, როგორც არასრული პირობა. აღნიშნავია, რომ ადამიანისეული კაპიტალის ინდიკატორების მუშახელის ფუნქცია მკაცრად ზომავს „ნამდვილ ადამიანისეულ კაპიტალს“.

ადამიანისეული კაპიტალი ფიზიკურ შრომასთან შედარებით, მოიცავს ფართო სპექტრს: თვითგამორკვევას, ტრანსპორტირებასა და გაზიარებულ მახასიათებელს. დასაწყისისთვის ადამიანისეული კაპიტალის გაფართოებული და თვითგამორკვევის მახასიათებლები მჭიდროდაა დაკავშირებული იმ შესაძლებლობებთან, რომელიც ზრდის ადამიანების კაპიტალს განათლების დონეს. უფრო მეტიც, ადამიანისეული კაპიტალის ზრდა შეიძლება ენდოგენური ან ეგზოგენური ფაქტორებით. შესაძლებელია, რომ არსებული ცოდნა გაფართოვდეს, ინფორმაციის, გამოცდილებისა და სხვა ცოდნაზე

დაფუნქციონირებული ფაქტორები განუწყვეტელი განვითარებით. მეორეც, ადამიანისეული კაპიტალის ტრანსპორტირებადი და იშვიათი მახასიათებლები ნიშნავს, რომ ცოდნის თავდაპირველმა მფლობელს შეუძლია სხვებისთვის მისი ცოდნის გაზიარება. იმ პირობით, რომ თავდაპირველი ცოდნის მფლობელი ექსკლუზიური საკუთრება მისაღებია, მფლობელისა და შემსრულებლებს შორის ექვივალენტური ცოდნის მიწოდებით. აქედან გამომდინარე, ორი მახასიათებელი ადამიანისეული კაპიტალის მოცულობას გაზრდის და ეს უკანასკნელი ადამიანთა კაპიტალის გამოყენების სფეროს გააფართოვებს.

ადამიანისეული კაპიტალი დიდ წილად სამ კატეგორიად არის ჩამოყალიბებული: ინდივიდუალური, ორგანიზაცია და საზოგადოება. ინდივიდუალურ შრომის ბაზარზე პერსპექტივაში მკვლევარების უმრავლესობა ეხება ინდივიდუალური შემოსავლის გაზრდის შესაძლებლობას, რის შედეგიც არის ინდივიდუალური პროდუქტიულობა. ადამიანისეული კაპიტალის ინდივიდუალური პროდუქტიულობის გაზრდის გამო, საორგანიზაციო მოგების მაქსიმიზაციის მიზნით, დამსაქმებელთა უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს მაღალპროდუქტიულ პირებს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ ინდივიდუალური მობილობა იზრდება შრომის ბაზარზე შრომისუნარიანობის გაუმჯობესების გამო. სამუშაო ადგილებზე პროდუქტიულობის ზრდის შედეგად, მაღალპროდუქტიული ადამიანი აღიარებულია როგორც მუშაკი უფრო მაღალი შესაძლებლობის მქონე შიდა ბაზარზე. ადამიანისეული კაპიტალის სოციალური პერსპექტივა არის ინდივიდუალური და ორგანიზაციული პერსპექტივის სინთეზი.

ადამიანისეული კაპიტალი შეიძლება იყოს: ზოგადი, კონკრეტული ფირმის და კონკრეტული ამოცანის შემსრულებელი. ადამიანისეული კაპიტალისა და ეკონომიკური ზრდის ურთიერთობების ანალიზის მიზნით, ზოგიერთი ეკონომისტი ცდილობდა ადამიანისეული კაპიტალის მარაგის გაზომვას „სკოლის ჩარიცხვის ტარიფების“ მიხედვით, რომელსაც მიიჩნევდა ადამიანისეული კაპიტალის მყარი მარაგად. საშუალო ასაკის პირთა შორის თანაფარდობისა და საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვის მსურველთა შორის თანაფარდობის გამოთვლისას ეკონომისტები აჩვენებენ ადამიანისეული კაპიტალის მარაგს, რომელსაც თითოეული ქვეყანა მართავს. თუმცა, მეთოდი მოიცავს ნაკლოვანებას,

რადგან სტუდენტის ეფექტიანობა შეიძლება აღიარებული იქნას წარმოების პროცესში მონაწილეობის შემდეგ (Human Capital and its Measurement, 2009).

განათლების მიღწევის თვალსაზრისით, ადამიანისეული კაპიტალის მარაგი თითოეული ადამიანის განათლების წლების ჯამია; ძნელია ნათლად წარმოაჩინოს ეს ურთიერთობა, რადგან საგანმანათლებლო მიღწევა რეგულარული განათლების ნაწილია. სინამდვილეში, ბევრი მოზარდი მათი პროდუქტიულობის გასაუმჯობესებლად ხშირად სხვადასხვა ფორმალურ განათლებასა და ტრენინგში იღებს მონაწილეობას.

ამჟამად სამუშაოზე დახარჯული დრო მცირდება, რადგან იზრდება განათლების მიღების პერიოდი, ახალგაზრდებსაც მიეცათ საშუალება შრომის ბაზარზე გასვლის.

დღეს სრულად გააზრებულია მნიშვნელობა განათლების მიღებისთვის დაკარგული მუშებისა. ადამიანისეულ კაპიტალში განხორციელებული ნებისმიერი ინვესტიციებისთვის ეკონომისტები აკრიტიკებენ პედაგოგებს და პოლიტიკოსებს, რადგან ისინი ამ საკითხს ყურადღებას არ აქცევენ.

ჩვეულებრივ ითვლება, რომ ისეთი მომსახურების ღირებულება, როგორცაა თეატრში დასწრება, ან ისეთი სახის საქონელი, როგორც არის ხორცი უბრალოდ თანაბარია საბაზრო ფასით, თუმცა ყველა თანხმდება, რომ თეატრში დასწრება, ან სადილობა, ზუსტად ისევე, როგორც სწავლა, მოითხოვს დროის განსაზღვრას, რომლის ნაწილიც შეიძლებოდა გამოყენებულ ყოფილიყო წარმოებაში. ეს თუ ასეა, მაშინ მთელი ხარჯები მსგავსი სახის ქმედებებიდან წარმოადგენს საბაზრო ღირებულების ჯამს და დაკარგული დროის ღირებულებას, რომელზეც მოუწიათ დაეხარჯათ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არასამუშაო დროის ნებისმიერი ფორმით გამოყენებისას არაპირდაპირი ხარჯები, უნდა განვიხილოთ ზუსტად ისევე როგორ განათლების მიღებისას გაწეული ალტერნატივა.

ფირმის თეორია არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რით განსხვავდებიან ფირმები ერთმანეთისგან განსხვავებულ ურთიერთობებში. თითქმის არასდროს ექცევა ყურადღება მწარმოებლურობის დონეს, მუშაკისა ყველაზე მწარმოებლურ პროცესში. ეს არ ნიშნავს იმას, რომ წარმოების პროცესზე გავლენა არავის მიერ არის აღიარებული, მაგრამ ამ აღიარებამ არ

მიიღო ფორმალური გამოხატულება, ის არ ხდებოდა ეკონომიკური ანალიზის ნაწილი და დასკვნებზე თვალყურის დევნა არ იყო.

ბევრი წარმოებას ზრდის იმ უნარების და ჩვევების საფუძველზე, რომელიც უკვე არსებობს სამუშაო ადგილზე. ცხადია, მომავალი წარმოება შეიძლება გაიზარდოს მხოლოდ გარკვეული დანახარჯების ფასად, ისეთ პირობებში, როცა გადამზადებაზე მოთხოვნა იქნებოდა უსაზღვრო. მისი დანახარჯი შედგება ყველაზე განათლებული მუშაკის დახარჯული დროისა და ძალისხმევისგან, პედაგოგიური საქმიანობისგან, გამოყენებული აღჭურვილობისგან და მასალებისგან. იგი აღიარებულია დანახარჯად იმ თვალსაზრისით, რომ ის სახსრები შესაძლოა გამოყენებულ ყოფილიყო პროდუქციის წარმოება-გამოშვებისთვის, ნაცვლად იმისა, რომ გამოსულიყო სამომავლო გამოშვების გაუმჯობესებაზე. გადამზადების პროცესის ხანგრძლივობა და ხარისხი დამოკიდებულია მის ტიპზე. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ ის ფაქტი, რომ ახალგაზრდა ექიმის გადამზადება საჭიროებს უფრო მეტი სახსრების დახარჯვას უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ვიდრე დაზღა-დანადგარების ოპერატორის გადამზადება.

განვიხილოთ ახლა ორგანიზაცია, რომელმაც დაიქირავა მუშახელი განსაზღვრული ვადით (ხშირ შემთხვევებში ის შეიძლება იყოს ნულთან მიახლოებული) და დავუშვათ, რომ პროდუქციის ბაზარზეც და შრომის ბაზარზეც მოქმედებს სრულყოფილი კონკურენცია. თუ სამუშაო ადგილზე არ განხორციელდა არანაირი გადამზადება, მაშინ სახელფასო განაკვეთი ფირმისთვის იქნება არსებულად განსაზღვრული და არ იქნება დამოკიდებული მის ქმედებაზე.

ფირმის მაქსიმალური მოგება იქნება დაბალანსებული, მაშინ როცა პროდუქციის ლიმიტი იქნება თანასწორი, თანაბარი მუშათა ხელფასებისა. ასე რომ, შემოსავლების და გასავლების ლიმიტების გათანაბრების პირობებში აღნიშნული შემთხვევა შეიძლება ჩაიწეროს ფორმულით:

$$MP=W (1.2.1)$$

(Беккер, 2003)

სადაც, W - ხელფასი, a_n ხარჯი, ხოლო MP - პროდუქციის ლიმიტი ანუ შემოსავალი. ფირმებს არ მოუწევთ ზრუნვა შრომის პირობებზე, არც მიმდინარე და არც მომავალ პერიოდში, რადგან სამუშაო დანახარჯი, ხელფასი და პროდუქციის ლიმიტი მომავალ პერიოდში არ არის დამოკიდებული ფირმის მიმდინარე ქმედებებზე იმ თვალსაზრისით, რომ მომუშავენი დაქირავებული არიან მხოლოდ ერთი განსაზღვრული პერიოდით. აქედან გამომდინარე არსებობს ერთადერთი სახელფასო გადასახდელი და პროდუქტის ლიმიტი თითოეული მუშაკისთვის დროის ნებისმიერ მონაკვეთში (სხვა რესურსების დანახარჯების შემთხვევაში), რომელიც იქნება კომპლექტში თანხვედრილ დონეზე ბაზარზე არსებული მუშაკთა ხელფასებში და მაქსიმალურია ყველა შესაძლებლობებიდან შრომის მწარმოებლურობის დონეზე.

უფრო სრულყოფილი თანაბარი მდგომარეობის გამოსახატავად შეიძლება შემდეგი ფორმულირება:

$$MP_t = W_t \quad (1.2.2)$$

(Беккер, 2003)

სადაც t - არის პერიოდი. ბალანსის მდგომარეობა მოცემულ პერიოდში განისაზღვრება მხოლოდ მოცემული პერიოდის განმავლობაში არსებულ ნაკადებში.

მდგომარეობა იცვლება, თუ ყურადღება გამახვილდება სამუშაო ადგილზე მუშაკთა გადამზადებაზე, აქედან წარმოიქმნება ურთიერთდამოკიდებულება აწმყო და მომავალი მომხმარებლისა და ქმედებების ნაკადებში. გადამზადებამ შეიძლება გამოიწვიოს მიმდინარე შემოსავლების შემცირება და მომხმარებელთა ხარჯების გაზრდა. ხოლო გადამზადება ფირმებისთვის იქნება მომგებიანი, თუ იგი მოგვცემს გარანტიას, რომ თვალსაჩინოდ გაიზრდება სამომავლო შემოსავლები და შემცირდება სამომავლო ხარჯები. ხარჯები უკვე აღარ არის თანაბარი გამომუშავეებული ხელფასისა ყველა პერიოდის განმავლობაში, ხოლო შემოსავალი იქნება მაქსიმალური ყველა შესაძლო პროდუქციის ლიმიტისა, ისე რომ შემოსავლები და ხარჯები აღმოჩნდება უკუკავშირში. სხვა თანაბარ პირობებში წარმოდგენილი (1.2.2) ფორმულა უნდა შევცვალოთ ტოლობით ხარჯებსა და შემოსავლების ღირებულებას შორის კავშირი თუ E_t და R_t - ხარჯები და შემოსავლები

მოცემული გვაქვს t -პერიოდში, ხოლო j - საბაზრო დისკონტის განაკვეთია, მაშინ ტოლობებს შორის ურთიერთკავშირი შეიძლება ჩაიწეროს შემდეგი ფორმულით:


$$\sum_{t=0}^{n-1} \frac{R}{(1+j)^{t+1}} = \sum_{t=0}^{n-1} \frac{E}{(1+j)^{t+1}}$$

(1.2.3)

(Беккер, 2003)

სადაც n - არის პერიოდების რაოდენობა, ხოლო E_t და R_t დამოკიდებულია ხარჯებისა და შემოსავლების ღირებულებაზე მთელი დარჩენილი პერიოდის განმავლობაში.

გადამზადება სერიოზულ ზეგავლენას ახდენს ურთიერთკავშირის ხასიათზე დასაქმებულებსა და ასაკს შორის. მაგალითისთვის მოვიყვანოთ, რომ გადაუმზადებელი პიროვნებები ანაზღაურებას იღებდნენ სისტემატიურად ასაკის მიუხედავად, როგორც ეს ნაჩვენებია ჰორიზონტალურ UU მრუდზე (სქემა: 1.2.1). გადამზადებას გავლილ პირებს ექნებათ გაცილებით დაბალი ხელფასი გადამზადების პერიოდში, იმიტომ, რომ ამ პერიოდში, ისინი იხდიან გადამზადების საფასურს და ასევე ხორცს ასხამენ უფრო მეტი ხელფასის მიღების ალბათობას შემდგომ ასაკში, რომელსაც ისინი ამ გადამზადების შედეგად მიიღებენ. ამ ფაქტორების შეთანხმებული ქმედება, როგორც გადასახადები გადამზადებისთვის და მისგან მიღებული უკუგება, მიგვიყვანს იქამდე, რომ მრუდი, რომელიც ასახავს გამომუშავების ცვლილებას ასაკთან ერთად, იმ გამომუშავებისა, რომელიც, მიიღება წარსულში მიღებული გადამზადების შედეგად (TT მრუდის გრაფიკზე) აღმოჩნდება უფრო მაღალი დონის, ვიდრე იმ დასაქმებულების მრუდი, რომელთაც ეს გადამზადება არ გაუვლიათ. სხვაობის სიმკვეთრე დამოკიდებულია ინვესტირების სიდიდესა და მის უკუგებაზე.



სქემა: 1.2.1. ინვესტირების შედეგად მიღებული ურთიერთკავშირი მწარმოებლურობასა და ასაკს შორის (Беккер, 2003)

ზემოთ აღნიშნულის მიხედვით, TT მრუდი გახდება არა მარტო მაღალი დონის, ასევე, უფრო ჩაზნექილი ნახაზიდან გამომდინარე, გამომუშავების ტემპი ახალგაზრდობის წლებში არის უფრო ძლიერი, ვიდრე მოხუცებულებში. ავიღოთ ექსტრემალური შემთხვევა და დავუშვათ, რომ გადამზადება ამაღლებს მწარმოებლურობის დონეს, მაგრამ არასწორად არის გამოხატული მრუდისადმი მიდრეკილება, აქედან გამომდინარე მწარმოებლურობის ლიმიტი, მათი ვინც მიიღო გადამზადება, ასევე არ იცვლება ასაკთან მიმართებაში. თუ გამომუშავება თანაბარია პროდუქციის ლიმიტთან მიმართებაში, მაშინ TT აღმოჩნდება UU მრუდის პარალელური და უბრალოდ იქნება UU მრუდზე მაღლა ყოველგვარი მიდრეკილებისა და ჩაზნექის გარეშე. ისევე როგორც, გადამზადების პერიოდში, იმ პირების მწარმოებლურობა იქნება დაბალი, რომლებიც გადიან გადამზადებას, ხოლო გადამზადების დასრულების შემდგომ მრუდი მკვეთრად გადაიწევს ზემოთ, ხოლო შემდგომ აღარ

შეიცვლება (როგორც ეს გამოხატულია T'T გრაფიკზე). ამ შემთხვევაში გამოიხატება გამონაკლისი მაღალი დონის ჩაზნექილობისა და ცვლილებისა (როგორც TT მრუდზე ჩანს). უფრო ექსტრემალურ შემთხვევაში ჩაზნექვა იქნება უფრო თლილი, თუმცა პრინციპი დარჩება იგივე (Беккер, 2003).

გამომუშავების დანახარჯები მართალია მნიშვნელოვანია, თუმცა გაუნათლებლებიც წარმოადგენენ გაწეული ინვესტიციების დანახარჯის ნაწილს, იმ ინვესტიციების დანახარჯების ნაწილს, რომელიც ჩადებულია ადამიანისეულ კაპიტალში. ეს ხარჯიც გათვალისწინებულ უნდა იქნას, როგორც პირდაპირ დანახარჯების დონეზე. დასაქმებულთათვის, რომლებიც დებულობენ გადამზადებას სამუშაო ადგილზე, ყველა დანახარჯი გამოიყურება, როგორც დახარჯული გამომუშავებული ხელფასი (სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ დანახარჯები იღებენ უფრო დაბალანაზღაურებადი სამუშაოს ფორმას, ვიდრე, რომელიც შეეძლოთ მიეღოთ ვიდრე სხვა ადგილას მუშაობის დაწყებისას), სინამდვილეში მნიშვნელოვანი დანახარჯის ნაწილი შეიძლება შედგებოდეს პირდაპირი დანახარჯებისგან.

როდესაც საქმე ეხება სამუშაო ადგილზე გადამზადების, აქცენტი გადაინაცვლებს და ყველა დანახარჯი უკავშირდება დაკარგულ გამომუშავებულ ხელფასს, მაშინაც კი როდესაც პირდაპირი ხარჯები საკმაოდ დიდია. დასაქმებულს საკუთრების უფლების ქონა მის კვალიფიკაციაზე, აძლევს სტიმულს გადამზადებაში განახორციელოს ინვესტიცია, მას უჩნდება მოტივაცია დაბალი ხელფასის პირობებშიც კი, როცა იგი გადის გადამზადებას.

საერთო გადამზადება თავის მხრივ ზრდის მუშაკთა მწარმოებლურობას, როგორც ფირმებში, სადაც მიიღეს მსგავსი გადამზადება, ასევე ზრდა ხდება სხვა დანარჩენი ფირმებშიც. თუმცა ცხადია, რომ ასეთი სახეობის გადამზადება სხვადასხვაგვარ ზეგავლენას ახდენს ადგილობრივ და სხვა ფირმებზე, რომლებიც ორგანიზებულები არიან აღნიშნული გადამზადებით ყველაზე მეტად ზრდიან მწარმოებლურობას, შეიძლება ვუწოდოთ სპეციალური. სავსებით სპეციალური შეიძლება ეწოდოს ასეთ გადამზადებას, რომელის გავლენაც სამუშაო ძალაზე არანაირად აისახება. გავლენას არ ახდენს ამ გადამზადების არა ორგანიზატორ ფორმებზე. გადამზადების მთავარ ნაწილს გადამზადების სამუშაო

ადგილზე არ შეიძლება ვუწოდოთ, არც სრულიად საერთო არც სრულიად სპეციალიზებული, მაგრამ თუ იგი უფრო მეტად აამაღლებს მწარმოებლურობას მის წარმომდგენ ორგანიზაციებში მაშინ ასეთი გადამზადება შეიძლება ჩაითვალოს სპეციალიზებულ გადამზადებას. ხარჯების გაწვევის მიუხედავად ფირმებს ცუდად აქვთ წარმოდგენილი შესაძლებლობები და პოტენციები ახალი მუშაკებისთვის, ისინი ცდილობენ გაზარდონ მწარმოებლურობა მათი მუშაკების ცოდნისა და სხვადასხვა გზით: ტესტირებით, მუშაკთა როტაციით, ნიმუშებით შეცდომების მეთოდებით და ა. შ. რამდენადაც საუკეთესო ინფორმირება საშუალებას იძლევა საუკეთესო ინფორმირება საშუალებას იძლეოდა საშუალო ძალა გამოყენებულ იქნას ეფექტურად. ხარჯები გაწეული გაწეულია დასაქმებულთა ტალანტების შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად დაკავშირებით, მიეკუთვნება სპეციალურ ინვესტიციებს თუ იგი ხელმიუწვდომელია სხვა ორგანიზაციებისთვის, მაშინ მწარმოებლურობა იზრდება აღნიშნული ხარჯების გაზრდით ზემოთ მითითებული მიმართულებაში უფრო მეტად, ვიდრე სხვაგან სადმე. ინვესტიციების გავლენა სამუშაო ძალის მწარმოებლურობაზე სხვა ფირმებში დამოკიდებულია ბაზრის განსაკუთრებულობაზე და ინვესტიციების ხასიათზე. ძალიან დიდი კომპანიები სხვადასხვა ფირმების კონკურენტისგან დაცულები არიან პრაქტიკულად მათი ინვესტიციები სამუშაო ძალაში სპეციალიზებულია, საპირისპიროდ იმ კომპანიების რომლებიც მოქმედებენ მაღალი კონკურენტების პირობებში შრომის ბაზარზე, ისინი ყოველთვის იქნებიან მუშაკთა ცვალებადობის საფრთხის ქვეშ.

სასურველია განათლების ფლობა, რადგან გადამზადებული კადრებიდან ზოგი ადვილად ითვისებს, ზოგს ესაჭიროება გრძელვადიანი სპეციალიზაცია. არსებობს კომპლემენტარიზმი განათლებასა და სამსახურს შორის, განათლებასა და დროს შორის. განათლების მიღების პერიოდში ვერ ხდება ანაზღაურების მიღება მას შეეძლო ემუშავა სწავლის დაწყებამდე ან სწავლების დასრულების შემდეგ ან ზაფხულის არდადეგების პერიოდში. მისი გამომუშავებული ხელფასი ჩვეულებრივ დაბალია იმასთან შედარებით, რომელიც მას შეეძლო გამოემუშავებინა განათლების მიღების შემდგომ. ხოლო თუ არ მიიღებს განათლებას, შედეგად ადამიანს არ მიეცემა საშუალება იშრომოს საკმარისად ბევრი

და რეგულარულად. სხვაობა რაც შეეძლო ადამიანს გამოემუშავებინა და ფაქტობრივ გამოემუშავებს შორის - შეადგენს მნიშვნელოვან ელემენტს - არაპირდაპირი განათლების ხარჯს. ხარჯები გაწეული განათლებაზე, დანახარჯები წიგნებზე, სასწავლო მასალებზე, დამატებითი ხარჯები ტრანსპორტირებაზე და საცხოვრებელზე წარმოადგენს თვალსაჩინო ხარჯის ელემენტს.

წმინდა ხელფასის შეიძლება განისაზღვროს როგორც სხვაობა ფაქტობრივ მოგებასა და გაწეულ პირდაპირ ხარჯებს შორის. მათემატიკური ჩანაწერი გამოისახება შემდეგნაირად:

$$W=MP-K \quad (1.2.4)$$

(Беккер, 2003)

სადაც MP არის ფაქტობრივი ზღვრული პროდუქტი ხოლო K პირდაპირი ხარჯი. თუ MP_0 არის ზღვრული პროდუქტი რომელიც შესაძლებელია მიღებული ყოფილიყო. მაშინ (4) გამოხატულება შეიძლება გარდავსახოთ შემდეგნაირად:

$$W=MP_0-(MP_0-MP+K)=MP_0-C \quad (1.2.5)$$

(Беккер, 2003)

სადაც - C არის პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯების ჯამი, სადაც წმინდა მოგება თანაბრად ტოლია პოტენციური მოგების და საერთო ხარჯების შორის სხვაობისა. ეს გამოხატულება ნაცნობია. რადგან იგი ემთხვევა და მსგავსია საშუალო მიღებული საერთო გადამზადების. აქედან შეიძლება დავასკვნათ რომ განსხვავება ორგანიზაციებსა და სასწავლო დაწესებულებებს შორის ყოველისთვის კანონზომიერი არ არის. სასწავლო დაწესებულება შეიძლება განისაზღვროს როგორც ფირმის განსაკუთრებული სახეობა, ხოლო მოსწავლე როგორც პირი რომელიც გადამზადებები იღებს სპეციალური სახეობის მეშვეობით. ყველაზე ნათლად ეს ჩანს როცა მოსწავლე მუშაობს კომპანიაში რომელიც კონტროლდება მისი სასწავლო დაწესებულების მიერ როგორც არც თუ ისე იშვიათ ბევრ კოლეჯში. მიუხედავად ამის, ყველა თუ მხოლოდ არაპირდაპირი დანახარჯი იზღუდება პოტენციური მომხმარებლისგან, განათლების ანალიზიდან გამომდინარეობს იგივე დასკვნა, რაც სამუშაო ადგილზე საერთო გადამზადების ანალიზიდან (Беккер, 2003) .

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, განათლება უნდა მიიღონ ასაკობრივად პროფილური სახით მოგებას ცვლილების შესაბამისად რომელიც დაკავშირებულია კაპიტალის ანგარიშებთან, შემოსავლებთან და დანაკარგებთან უნდა შეიქმნას უარყოფითი კავშირი ახალგაზრდების მიმდინარე და პერმანენტული მოგების შორის.

2020 წლიდან, მსოფლიოში განვითარდა ეპიდემიოლოგიურმა მდგომარეობამ, რამაც დღის წესრიგში აქტიურად დააყენა დისტანციური განათლების მეთოდი. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ მეთოდი უფრო მოქნილი და ხელმისაწვდომია, მოქნილია არჩევნის თავისუფლება, ზოგავს დროს და ფინანსურ რესურსებს, საშუალება ეძლევა განათლების მიღების მსურველებს კოვიდ-19-ით გამოწვეული შეზღუდვების მიუხედავად, ქონდეთ მუდმივი კავშირი სასწავლო დაწესებულებებთან და მიეღოთ შესაბამისი განათლება.

თანამედროვე განათლების სისტემა უნდა შეესაბამებოდეს ტექნოლოგიურ პროგრესს, ეს პროგრესი შეუქცევადი პროცესია და მის მოთხოვნების გათვალისწინება სასურველია. საჭიროა მისი მუდმივი განახლება, რათა სტუდენტების მოთხოვნები, დროსთან ერთად სწრაფად იცვლება და სიახლეებთან ადეკვატურობა მნიშვნელოვანია.

დისტანციური განათლება სათავეს იღებს XX საუკუნის მიწურულიდან. საწყის ეტაპზე ის მოიცავდა მხოლოდ ტექსტური შეტყობინებებით ინფორმაციის გაცვლას, ყოველგვარი ვიზუალიზაციის გარეშე, რაც ნაკლებად ეფექტური იყო. მოგვიანებით, უნივერსალური ვებგვერდების განვითარებამ შესაძლებელი გახადა ცოდნის მიღება ვიდეოგაკვეთილების საშუალებით (Chen A.S., 2016) .

ქვემოთ მოცემულ ცხრილში №1.2.1 მოცემულია ონლაინ განათლების ევოლუცია აშშ-ს მაგალითზე 1892-2012 წწ.

ცხრილი: №1.2.1 ონლაინ განათლების განვითარების ეტაპები აშშ-ში

1892 წელი	პირველი დაუსწრებელი კურსები ჩიკაგოს უნივერსიტეტში
1922 წელი	რადიომაუწყებლის საშუალებით პენსილვანიის სახელმწიფო კოლეჯი გადმოსცემს რამდენიმე სასწავლო კურსს
1953 წელი	პირველი სატელევიზიო კურსი ჰიუსტონის უნივერსიტეტის
1965 წელი	სატელეფონო სასწავლო პროგრამას ფიზიკოსებისთვის იწყებს უისკონსინის უნივერსიტეტი
1976 წელი	პირველი „ვირტუალური კოლეჯი“, რომელიც მაუწყებლობს ყველა ონლაინ კურსით ქოსტლანის საკომუნიკაციო კოლეჯში
1980-იანი წლები	ონლაინ პროგრამების გამოჩენა აშშ-ში, სადაც შესაძლებელი იყო პერსონალური წვდომა
1989 წელი	აშშ-ის მასშტაბით ერთ-ერთი პოპულარული ონლაინსკოლა დაარსდა ფენიქსის უნივერსიტეტში
1997 წელი	რამდენიმე წამყვან უნივერსიტეტში ჩაეშვა პირველი ელექტრონული პლატფორმა დავშიეიქმნა ინტერაქტიული სასწავლო ქსელი
2000-იანი წლები	ონლაინ კურსების დამადასტურებელ სერთიფიკატის გაცემა დაიწყო ბევრ უნივერსიტეტში
2006 წელი	ფასიანი კურსების ფართო არჩევანის შეთავაზება დაიწყო მომხმარებელთათვის კომპანია Apple
2012 წელი	დაფუძნდა ორი მსხვილი ონლაინპლატფორმა Udacity და EdX, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს მასობრივ ონლაინსასწავლო კურსებს

წყარო: www.worldwidelearn.com - Getting Connected: A Brief History of Online Education, 2012

დისტანციური სწავლების საშუალებით ტრადიციულ მეთოდებთან შედარებით, სწავლის მსურველები ელექტრონული ინფორმაციის მეშვეობით, უფრო მარტივად იღებენ საჭირო ინფორმაციას და ნაკლებ დროს ხარჯავენ ძიების პროცესში. ამასთან თანამედროვე სამყაროში თვითგანვითარებაზე ორიენტირებული გახდნენ ადამიანები და უფრო მნიშვნელოვანი ხდება ცოდნის გაღმავება, როგორც ეს ცნობილი ადამიანების ცხოვრებისეული მაგალითებიდან ჩანს. (Dickinson K., 2018).

დისტანციური სწავლება საშუალებას იძლევა უფრო ეფექტიანად და დროულად ამადლდეს ცოდნის დონე (მოხდეს კადრების პროფესიული გადამზადება), წარმოდგენილი იქნეს პაროლით დაცული სასწავლო მასალები ელექტრონული ფორმით, გამოყენებული იქნეს თანამედროვე ტექნიკური საშუალებები, ელექტრონული შრომები, შესაძლებელი ხდება ცოდნის გაზიარება ფორუმებზე ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით, ვიდეო-აუდიო ლექციები, განხორციელდეს ჩართვები სხვა სასწავლებლების სასწავლო პროცესში და ა.შ.

დისტანციური სწავლება იძლევა საშუალებას შემცირდეს დანახარჯები 15-50%-ით სწავლების სხვა ფორმასთან შედარებით, რაც დამოკიდებულია სტუდენტთა რაოდენობაზე.

საჭიროა ლექციების კურსის ჩაწერა და შემდეგ მისი შესაბამისი განახლება, რასაც საჭიროება მოითხოვს კომუნალური გადასახადებთან. შენობა-ნაგებობების, არენდისა და მათი მომსახურებისათვის ხარჯების გაწევა არ არის საჭირო, რაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს დისტანციური სწავლების ღირებულების ფორმირებაში. როდესაც ხდება დისტანციური სწავლებით განათლების მიღების გადაწყვეტილების მიღება, მთავარია, სასწავლებელმა დააკმაყოფილოს მომხმარებელთა მოთხოვნები და სურვილები. დისტანციური სწავლების დროს უზრუნველყოფილ უნდა იყოს განათლების მაღალი ხარისხი და შესაბამისი სახელმწიფო დიპლომის გაცემა.

მომხმარებლისათვის განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს ის ფაქტი, თუ დისტანციური სწავლების ტექნოლოგია რამდენად ხელმისაწვდომია მისთვის. დისტანციური სწავლება წვდომადი უნდა იყოს მიზნობრივი ჯგუფის თითოეული წევრისათვის.

მომხმარებელთა რაოდენობაზეა დამოკიდებული დისტანციური სწავლებისას დანახარჯების ნაწილი, ნაწილი კი დამოკიდებულია სასწავლო მასალის მოცულობაზე. დანახარჯების გამოთვლისას საჭიროა ცალკე იქნეს გაანგარიშებული ხარჯები ერთ მომხმარებელზე ერთი საათის განმავლობაში, რომელიც, თავის მხრივ, განისაზღვრება ფიქსირებული და ცვალებადი ხარჯების თანაფარდობით. მომხმარებელთა რაოდენობის ზრდის შეზამისად დანახარჯების შემცირება ხდება

საქართველოში ელექტრონული სწავლების მეთოდს დაახლოებით 14 წლის ისტორია აქვს. ელექტრონული სწავლების დანერგვა 2008 წლიდან დაიწყო, როდესაც ქვეყანა პროექტში - „ელექტრონული სწავლება კავკასიაში“ ჩაერთო (სარიშვილი ს., 2016).

კერძოდ, 2011 წელს „უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონში“ შევიდა ცვლილება, რომელიც გულისხმობდა სტანდარტული განათლების პარალელურად დისტანციურად განათლების მიღებას. მეთოდი რამდენიმე წამყვან უნივერსიტეტში დაინერგა და დღითიდღე უფრო პოპულარული ხდება. ამჟამად კი უკვე კანონში მოცემულია ტერმინი „დისტანციური სწავლების“ განმარტება (საქართველოს კანონი განათლების შესახებ, 2005).

კოვიდ -19 ით გამოწვეულმა პანდემიამ დისტანციური სწავლება საქართველოში უფრო აქტუალური გახადა, წინა წლებთან შედარებით. საგანმანათლებლო სფერომ გაითავისა პრობლემის გადაჭრის ეს გზა და კარგად ადაპტირდა ზემოთ აღნიშნულ მეთოდთან. დღესდღობით სწავლების მნიშვნელოვანი ნაწილი მიმდინარეობს უახლესი ტელეკომუნიკაციური სისტემების და თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით.

აღნიშნული დისტანციური სწავლება ინტერნეტის და კომპიუტერის საშუალებით მომხმარებლისათვის იძლევა ისეთი განათლების მიღების შესაძლებლობას, როგორც - სასწავლო დაწესებულებებში ლექციებზე დასწრება და ყოველდღიური სიარული შეიძლება იძლეოდეს. თანამედროვე განათლების სისტემაში დისტანციური სწავლება განიხილება როგორც ერთ-ერთი პერსპექტიული საშუალება და არის განათლების სფეროში ყველაზე განვითარებადი მიმართულება.

1.3 ადამიანისეული კაპიტალის ღირებულების გაზომვის თავისებურებები

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD)-ის მიერ ადამიანისეული კაპიტალის ღირებულების გაზომვა მჭიდროდაა დაკავშირებული საერთაშორისო შედარებით სტატისტიკასთან, რომელიც ითვალისწინებს კაპიტალის, ხარისხის კორექტირებისა და განათლების შედეგების გათვალისწინებას. ადამიანისეული კაპიტალის გაზომვის სტრუქტურის შესახებ, ნუსხა №1.3.1-ში წარმოდგენილი სტრუქტურა დაყოფილია ქვე-ფაქტორებად. პირველი ქვე-ფაქტორი „ადამიანისეული კაპიტალში ინვესტიცია“, რომელიც ითვალისწინებს ადამიანისეული კაპიტალის ინვესტიციების მიმდინარე დონეს ეროვნულ საზღვრებში და მეორე ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ იმართება ინვესტიციების ხარისხი და შეესაბამება აკადემიური მიღწევების საერთაშორისო შედარებას. საბოლოო ჯამში, მესამე ქვე-ფაქტორი წარმოგიდგენს, თუ როგორ ხდება საგანმანათლებლო საინვესტიციო შედეგი პოსტსაბჭოური განათლების შემდეგ.

ნუსხა №1.3.1 ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD)-ის მიხედვით ადამიანისეული კაპიტალის გაზომვა:

ფაქტორები:

1.ინვესტიციები ადამიანისეულ კაპიტალში

1.1 კვალიფიკაციის მაღალი დონე;

1.1.1 უნივერსიტეტის კვალიფიკაციის დონის ზრდა;

სხვადასხვა დარგებში მიღწეული დონის ზრდა

1.2 უნივერსიტეტში ჩარიცხვის და დამთავრების მაჩვენებელი;

1.2.1 უნივერსიტეტის გამოშვების ტენდენცია;

1.2.2საერთაშორისო სტუდენტების წვლილი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთათვის;

შრომისა და დასაქმების სფეროში ვალდებულებები კიდევ უფრო გაიზარდა 2014 წელს, როდესაც საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას. შრომისა და დასაქმების პოლიტიკაზე მთავარი პასუხისმგებელი ორგანო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროა. კერძოდ კი, სამინისტროში არსებული შრომისა და დასაქმების დეპარტამენტი, რომელიც 2013 წელს შეიქმნა. ამ დეპარტამენტმა შეიმუშავა 2014-2018 წლების „შრომის ბაზრის ფორმირების სტრატეგია“. ბოლო ათწლეულის განმავლობაში აღნიშნული მოცემულ სფეროში შექმნილი პირველი სტრატეგიული დოკუმენტი იყო. სტრატეგიის ძირითადი მიზნები ქვეყანაში შრომისა და დასაქმების პოლიტიკისათვის აუცილებელი საკანონმდებლო ბაზის შექმნა/რევიზია, შესაბამისი ინსტიტუტების ფორმირება და პროგრამების განხორციელება იყო.

დასაქმების პოლიტიკის განხორციელება სოციალური მომსახურების სააგენტოს „დასაქმების ხელშეწყობის დეპარტამენტს“ დაევალა. მისი ძირითადი ფუნქცია არის, სამუშაოს მაძიებლების რეგისტრაცია და მათთვის „დასაქმების სერვისების“ შეთავაზება.


2020 წელს საქართველოში უმუშევრობის დონე 2019 წელთან შედარებით 0.9 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 18.5 პროცენტი შეადგინა, თუმცა ბოლო ათწლეულის განმავლობაში უმუშევართა კლების ტენდენცია აღინიშნებოდა.

2020 წელს სამუშაო ძალამ (ეკონომიკურად აქტიურმა მოსახლეობამ) შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის (15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა) 50.5 პროცენტი შეადგინა. წინა წელთან შედარებით სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე (აქტიურობის დონე) შემცირებულია 1.3 პროცენტული პუნქტით, ხოლო დასაქმების დონე შემცირებულია 1.5 პროცენტული პუნქტით. სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე (აქტიურობის დონე), წინა წელთან შედარებით შემცირებულია ქალაქის ტიპის დასახლებებში 0.3 პროცენტული პუნქტით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში - 2.6 პროცენტული პუნქტით. ასევე, დასაქმების დონე შემცირებულია როგორც ქალაქის ტიპის, ისე სოფლის ტიპის დასახლებებში, შესაბამისად 1.3 და 1.8 პროცენტული პუნქტით (სამუშაო ძალის მაჩვენებლები (დასაქმება და უმუშევრობა: www.geostat.ge.)

2020 წელს უმუშევრობის დონე საქალაქო დასახლებებში წინა წელთან შედარებით გაზრდილია 2.0 პროცენტული პუნქტით, ხოლო სასოფლო დასახლებებში შემცირებულია 0.9 პროცენტული პუნქტით.

მნიშვნელოვანია თვალი გადავავლოთ ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე უმუშევრობის დონეს ქალაქ-სოფლის მიხედვით 2010-2021 წლებში:

როგორც ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ჩანს, რომ ქალაქში დასაქმების მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე სოფლად, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობაში მაღალი პოტენციალი გააჩნია ქალაქში დასაქმება ჭარბობს, სოფლად დასაქმებულების რაოდენობას.



დიაგრამა №3.1.2 უმუშევრობის დონე ქალაქ-სოფლის ჭრილში %

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური



დიაგრამა №3.1.3 უმუშევრობის დონე საქართველოში %

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დიაგრამა №3.1.3 წარმოდგენილია უმუშევრობის საერთო დონის პროცენტული მაჩვენებელი სრულიად საქართველოში. 2020 წელს საქართველოში უმუშევრობის დონე 2019 წელთან შედარებით 0.9 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 18.5 პროცენტი შეადგინა.

განვიხილოთ უმაღლესი განათლების გავლენა დასაქმებასთან მიმართებაში:

სამუშაო ძალის განაწილება განათლების მიღწეული დონის მიხედვით (%)		
	2020	2021
დაწყებითი ან საბაზო	4.3	4.3
სრული ზოგადი	36.2	37.0
პროფესიული	19.5	18.4
უმაღლესი	39.8	40.2
განათლების გარეშე	0.1	0.1
სულ	100.0	100.0
დასაქმებულთა განაწილება განათლების მიღწეული დონის მიხედვით (%)		
	2020	2021
დაწყებითი ან საბაზო	3.9	3.6
სრული ზოგადი	34.3	34.4
პროფესიული	20.1	19.1
უმაღლესი	41.6	42.8
განათლების გარეშე	0.1	0.1
სულ	100.0	100.0

უმუშევართა განაწილება განათლების მიღწეული დონის მიხედვით (%)

	2020	2021
დაწყებითი ან საბაზო	6.3	7.1
სრული ზოგადი	44.6	46.8
პროფესიული	17.2	15.8
უმაღლესი	31.8	30.2
განათლების გარეშე	0.1	0.0
სულ	100.0	100.0

სამუშაო ძალის გარეთ მყოფი მოსახლეობის განაწილება განათლების მიღწეული დონის მიხედვით (%)		
	2020	2021
დაწყებითი ან საბაზო	16.9	17.3
სრული ზოგადი	42.3	43.5
პროფესიული	19.9	18.5
უმაღლესი	19.6	19.6
განათლების გარეშე	1.3	1.2
სულ	100.0	100.0

15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება განათლების მიღწეული დონის მიხედვით (%)		
	2020	2021
დაწყებითი ან საბაზო	10.6	10.7
სრული ზოგადი	39.2	40.2
პროფესიული	19.7	18.5
უმაღლესი	29.8	30.1

განათლების გარეშე	0.7	0.6
სულ	100.0	100.0

ცხრილი № 3.1.3 სამუშაო ძალის გამოკვლევა (%)

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით 2020 და 2021 წლების ჭრილში სამუშაო ძალის განაწილებისას მეტი პროცენტული წილი უკავია უმაღლესდამთავრებულ მოსახლეობას. კერძოდ, თუ 2020 წელს სამუშაო ძალის განაწილებისას დაწყებით, ან საბაზისო განათლების მქონე ადამიანებს ეკავათ - 4.3 %, სრული ზოგადი განათლება მიღებულებს - 36.2 %, პროფესიული განათლების მქონეთ 19.5 %, განათლების გარეშე პირებს 0.1%, უმაღლეს განათლება მიღებული მოსახლეობამ სამუშაო ძალის 39.8 % შეადგინა, საიდანაც ირკვევა, რომ უმაღლეს დამთავრებული მოსახლეობა დომინირებს სამუშაო ძალაში. თითქმის ანალოგიური მონაცემებია 2021 წლის კვლევებში. სამუშაო ძალის 4.3% შეადგინა საბაზისო განათლების მქონე მოსახლეობამ, 37 % შეადგინა სრული ზოგადი განათლების მქონე მოსახლეობამ, 18.4 % შეადგინა პროფესიული განათლების მქონე მოსახლეობამ, 0.1 % იყო განათლების არმქონე პირები, ხოლო 40.2 % წარმოადგინა უმაღლესი განათლების მქონე მოსახლეობამ.

2020 წელს დასაქმებული მოსახლეობის 41.6 %-ს წარმოადგენდა უმაღლეს განათლება მიღებული ადამიანები, ხოლო 2021 წელს აღნიშულმა მაჩვენებელმა 42.8 % შეადგინა.

უმუშევართა განაწილების სტატისტიკურ მონაცემებში უმაღლეს დამთავრებული მოსახლეობა მეორე ადგილს იკავებს, ხოლო ამ ჭრილში დომინირებს ზოგადი განათლების მქონე მოსახლეობა. სამუშაო ძალის გარეთ მყოფი მოსახლეობიდან უმაღლესი განათლების მქონე პირებმა 2020 და 2021 წელს 19.6 % შეადგინა, ხოლო ყველაზე დიდი მაჩვენებელი დაიკავა სრული ზოგადი განათლების მქონე პირთა პროცენტულმა მაჩვენებელმა - 2020 წელს 42.30 % შეადგინა, 2021 წელს - 43.50 %.

15 წლის და უფროსი ასაკი მოსახლეობიდან უმაღლესი განათლების პროცენტულმა მაჩვენებელმა 2020 წელს 29.8% შეადგინა, ხოლო 2021 წელს - 30.1 %. სრული ზოგადი

განათლების მქონე მოსახლეობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აჭარბებს უმაღლესი განათლების მქონე პირთა მაჩვენებელს- 2020 წელს 39.2 % და 2021 წელს - 40.2 %.

კვლევიდან ჩანს, რომ სამუშაო ძალის განაწილების პროცესში უმაღლესი განათლება მნიშვნელოვან როლს თამაშობს დასაქმების ხელშეწყობაში საქართველოს ტერიტორიაზე.

სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე განათლების მიღწეული დონის მიხედვით (%)		
	2020	2021
დაწყებითი ან საბაზო	20.7	20.6
სრული ზოგადი	46.6	46.9
პროფესიული	50.0	50.9
უმაღლესი	67.4	68.1
სამუშაო ძალა	50.5	50.9

ცხრილი № 3.1.4 სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე განათლების მიღწეული დონის მიხედვით (%)

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;

№3.1.3 ცხრილის მიხედვით 2020 წელს სამუშაო ძალამ სრული მოსახლეობის 50.5 % შეადგინა, სადაც უმაღლესი განათლების მქონეთაგან პროცენტულმა მაჩვენებელმა 67.4 % წარმოადგინა, ხოლო 2021 წლის სამუშაო ძალის პროცენტული მაჩვენებელი 50.9 % იყო, ხოლო უმაღლესი განათლების მქონე პირთა წილმა 68.1 % შეადგინა.

დასაქმების დონე განათლების მიღწეული დონის მიხედვით (%)		
	2020	2021

დაწყებითი ან საბაზო	15.2	13.5
სრული ზოგადი	36.0	34.6
პროფესიული	41.8	41.9
უმაღლესი	57.5	57.6
დასაქმების დონე	41.1	40.4

ცხრილი № 3.1.5 დასაქმების დონე განათლების მიღწეული დონის მიხედვით (%)

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;

დასაქმების დონემ 2020 წელს და 2021 წელს, შესაბამისად 41.1 % და 40.4 %. დასაქმებულთა რაოდენობაში მაღალი პროცენტული წილი უკავია უმაღლესი განათლების მქონე პირებს, რომელიც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ იქნა გამოკვლეული. უმაღლეს განათლება მიღებულთა 57.5 % იქნა დასაქმებული 2020 წელს, ხოლო 2021 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა 57.6 % შეადგინა. პროფესიული განათლების მქონე პირებიდან დასაქმდა 2020 წელს 41.8%, 2021 წელს - 41.9 %. უმაღლესი და პროფესიული განათლების მქონენი უფრო დიდი პროცენტული მაჩვენებლით საქმდებიან, მცირედი ზრდაც დაფიქსირდა დასაქმების ნაწილში 2021 წელს 2020 წელთან შედარებით. დაწყებითი და სრული ზოგადი განათლების მქონენი პირებიდან 2021 წელს დასაქმების ნაწილში 1.7 % და 1.4 % არის შემცირებული.

უმუშევრობის დონე განათლების მიღწეული დონის მიხედვით		
(%)		
	2020	2021
დაწყებითი ან საბაზო	26.7	34.1

სრული ზოგადი	22.8	26.1
პროფესიული	16.3	17.7
უმაღლესი	14.8	15.5
სულ	18.5	20.6

ცხრილი 3.1.6 უმუშევრობის დონე განათლების მიღწეული დონის მიხედვით (%)

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;

2020 წლის მონაცემების მიხედვით, უმუშევრობამ შეადგინა 18.5 %. ამ მაჩვენებელში უმაღლესი განათლების მქონე პირებიდან 14.8 % შეადგინა, ანუ ყველაზე ნაკლები უმუშევარი უმაღლესი განათლების მქონე პირებმა წარმოადგინეს, ხოლო მაღალი მაჩვენებლით წარმოჩინდა დაწყებითი, ან საბაზისო განათლების მქონე პირებიდან. 2021 წელს გაიზარდა უმაღლეს დამთავრებულთა უმუშევართა რაოდენობა და 15.5 %-ს მიაღწია, გაიზარდა მნიშვნელოვნად საბაზისო განათლების მქონე მოსახლეობის უმუშევრობის რაოდენობაც. უმუშევრობის ზრდა, გარკვეულ წილად დაკავშირებული იყო კოვიდ - 19 პანდემიასთან. აღნიშნულმა პანდემიამ არამარტო საქართველოში, მსოფლიო მასშტაბითაც მნიშვნელოვანი დანაკარგები გამოიწვია როგორც წარმოებასთან მიმართებაში, ასევე დასაქმების მიმართულებითაც.

როგორც კვლევიდან ირკვევა, უმაღლესი განათლების მქონე მოსახლეობის პროცენტული წილი დასაქმების საერთო მაჩვენებელში მნიშვნელოვნად აჭარბებს დაწყებითი, ზოგადი და პროფესიული განათლების მქონე პირთა საერთო მაჩვენებელს, შესაბამისად უმუშევართა პროცენტულ მაჩვენებელში ყველაზე დაბალი წილი უკავია.

საქართველოში დღეს სამუშაო ადგილების შექმნაა მთავარი პრობლემა. თუკი ფორმალური განსაზღვრებით ვიხელმძღვანელებთ, საქართველოს დასაქმების სფეროში გააჩნია გარკვეული სახის „მოთხოვნის მხარის“ პოლიტიკა. თუმცა იგი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებით ხორციელდება. კერძოდ, მოთხოვნის მხარის პოლიტიკა დაკავშირებული არ არის მიწოდების მხარის პოლიტიკასთან და მიმდინარეობს ერთგვარ ვაკუუმში,

ინდუსტრიული პოლიტიკის ჩარჩოს გარეშე. შესაბამისად, მის მიერ შექმნილი სამუშაო ადგილების უმეტესობა ისევ დაბალპროდუქტიულ სერვის სექტორში კონცენტრირდება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მეწარმეობის განვითარების პროგრამები ლოგიკურად არ ებმის არც სახელმწიფოს მიერ გატარებულ მიწოდების მხარის დასაქმების პოლიტიკას და არც ზოგად მაკროეკონომიკურ პოლიტიკას. დასაქმებაზე დადებითი ეფექტი ყოველთვის განიხილება როგორც პროგრამების უმნიშვნელოვანესი შედეგი, თუმცა არ არსებობს ზუსტი მონაცემები იმის შესახებ, თუ რამდენი სამუშაო ადგილი შეიქმნა პროგრამის მსვლელობის განმავლობაში, როგორია ამ სამუშაოების სექტორული განაწილება, ანაზღაურება, რამდენი მათგანი შენარჩუნდა და ა.შ. ამდენად, ვიღებთ სიტუაციას, როდესაც სახელმწიფო, ერთი მხრივ, ფინანსურად ახალისებს გარკვეული სექტორების/დარგების განვითარებას, მეორე მხრივ, კი ინვესტიციას სამუშაო ძალის მომზადებაში სრულიად სხვა სექტორებში დებს იმ მოტივით, რომ ეს უკანასკნელი „ყველაზე მოთხოვნადია“. აქ კიდევ ერთხელ იჩენს თავს „მიწოდებაზე“ ორიენტირებული დასაქმების პოლიტიკის გამოწვევები. (დიაკონიძე ა., 2020).

3.2 დასაქმების პოლიტიკისა და უმაღლესი განათლების სწავლის შედეგების შესაბამისობის სრულყოფის მიმართულებები საქართველოში

საქართველოში დღესდღეობით იკვეთება მიწოდების და მოთხოვნის მხარის დასაქმების პოლიტიკისთვის დამახასიათებელი ნიშნები. ამიტომ, უნდა აღნიშნოს, რომ თუ წარმოებისთვის და ზოგადად ბიზნესისათვის მოქნილი გარემო შექმნება, სამუშაო გაიზრდება სამუშაო ადგილების რაოდენობა და შესაძლებლობა მოგვეცემამოვაგვაროთ

უმუშევრობის პრობლემა. ამჟამად საქართველოში არსებული დასაქმების პოლიტიკა წარმოადგენს ძირითადად „მიწოდების მხარის“ პოლიტიკაა. როცა საუბარია დასაქმების პოლიტიკაზე, მნიშვნელოვანია შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნის განსაზღვრა, იმისთვის, რომ მომზადდეს, ისეთი კადრი, რომელიც დააკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნებს. დასაქმების პოლიტიკის სწორად გატარების მიზნით მნიშვნელოვანია შრომის ბაზრის სისტემატიური მონიტორინგი და ადეკვატური კვლევა. საჭიროა გამართული შრომის ბაზრის არსებობისთვის, ისეთი საინფორმაციო სისტემის არსებობა, რომელიც იქნება სრულყოფილი და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსული. სამუშაო ძალის თაობაზე არსებული მოთხოვნის კვლევები საქართველოში არსებობს სპორადული სახით. უნდა აღინიშნოს, რომ დასაქმების ხელშეწყობის დეპარტამენტმა უნდა განახორციელოს შრომის ბაზრის თვისებრივი კვლევა, რომელიც მის ვალდებულებას წარმოადგენს, თუმცა აღნიშნული არარეგულარულად სრულდება. შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის მოვალეობაა ჩატარებული კვლევების შეჯამების საფუძველზე დაადგინოს მოთხოვნადი პროფესიების სია. მიუხედავად ამისა, ამ ეტაპზე მაინც ვერ ხერხდება სამუშაო ძალის მოთხოვნაზე ისეთი სიღრმისეული ინფორმაციის მიღება, რომელიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს სასწავლო გეგმების შესაბამისად შეცვლაში დაეხმარებოდა.

ზოგადად, „მიწოდების მხარის“ დასაქმების პოლიტიკის გატარება გულისხმობს, რომ ეკონომიკა საკმარისი რაოდენობით სამუშაო ადგილებს ქმნის და ერთადერთი ხარვეზი შეიძლება იყოს, ის რომ ამ სამუშაო ადგილებისთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრი არ არსებობს ან მათ არ იციან, როგორ მოიძიონ არსებული სამუშაო ადგილები. ამდენად მნიშვნელოვანი რესურსი იხარჯება კადრების მომზადებაზე და დამსაქმებლებთან მათ დაკავშირებაზე. ამ მხრივ საქართველოში არსებული მდგომარეობა დამაფიქრებელია. ეკონომიკური ზრდის ფაზა, რომელიც 2005 წელს დაიწყო, განპირობებული იყო მომსახურების სფეროს ზრდით. მომსახურების სფეროში სამუშაო ადგილების ზრდა არის პოზიტიური მოვლენა, მაგრამ ყურადღება უნდა გამახვილდეს კონკრეტულად რა სახის სამუშაო ადგილებია შექმნილი. 2009-2015 წლებში შექმნილი სამუშაო ადგილების

უმრავლესობა არ მოითხოვდა უმაღლეს განათლებას. 2015 წელს მთლიანი სამუშაო ადგილების 53 % სპონტანურად შეიქმნა. იგულისხმება ისეთი სამუშაო ადგილები, რომელიც შექმნილია თავად დასაქმებულის მიერ და არ მოითხოვს ფორმალურ განათლებას.

საქართველოს ეკონომიკა არ ქმნის დიდი რაოდენობით მაღალი პროდუქტიულობის მქონე სამუშაო ადგილს და შრომის ბაზარზე ძირითადად დომინირებს დაბალი პროდუქტიულობის მქონე სამუშაო ადგილები. აღნიშნული დასტურდება შესაბამისი კვლევებითაც. სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ჩატარებულ კვლევაში რაოდენობრივად ყველაზე მეტად „არაკვალიფიციური მუშების“ მოთხოვნა გამოიკვეთა. (http://ssa.gov.ge/files/01_GEO/PUBLIKACIEBI/FILES/angarishi.pdf).

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კვლევის მიხედვით კი, გამოკითხული კომპანიები უახლოეს მომავალში ყველაზე მეტი რაოდენობით გეგმავენ საფინანსო და გაყიდვების სფეროს დამხმარე პერსონალისა და ინდივიდუალური მომსახურებისა და დაცვის სამსახურის მუშაკების ჯგუფის წარმომადგენელი მუშაკების დაქირავებას. (<http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=Survey&ID=0e5d2e14-f30c-451c-8df9-335626974ad3>).

„მიწოდების მხარის“ დასაქმების პოლიტიკის გატარებისას პროგრამები მორგებული უნდა იყოს კერძო სექტორის მიერ შექმნილ მოთხოვნაზე, ხოლო იგი უმეტესწილად ქმნის დაბალკვალიფიციურ სამუშაო ადგილებს, აქედან გამომდინარე სახელმწიფო ბიუჯეტი მსგავსი სახის პერსონალის მომზადებაზე უნდა დაიხარჯოს. შეიძლება მსგავს ქმედებას მოკლევადიან პერიოდში ქონდეს დადებითი ეფექტი, გრძელვადიან პერსპექტივაში იგი ეკონომიკის განვითარებამდე ვერ მიგვიყვანს. იმისათვის, რომ გაიზარდოს მაღალკვალიფიციური სამუშაოების რიცხვი, საჭიროა გატარდეს „მოთხოვნის მხარის“ პოლიტიკა და ჩამოყალიბდეს შესაბამისი ინდუსტრიული პოლიტიკა.

საქართველოში არსებულ „მოთხოვნის მხარის“ დასაქმების პოლიტიკას გააჩნია ნაკლოვანებები, იგი არ არის დაკავშირებული მიწოდების მხარის „დასაქმების პოლიტიკასთან“, მისი გატარება ხდება ინდუსტრიული პოლიტიკის ჩარჩოების გარეშე, ასე

რომ მის მიერ შექმნილი სამუშაო ადგილების უმეტესობა დაბალ პროდუქტიულ მომსახურებაში კონცენტრირდება.

საქართველოში არსებული დასაქმების პოლიტიკის განხილვისას, ყურადღება უნდა გავამახვილოთ მეწარმეობის განვითარებაზე ორიენტირებულ პროექტებზე. 2014 წელს სსიპ „აწარმოე საქართველოში“, რომლის მიზანი არის კერძო სექტორის განვითარება, ექსპორტის ხელშეწყობა, საინვესტიციო კლიმატის და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება. აღსანიშნავია, რომ მეწარმეობის განვითარების პროგრამები ადგილობრივად არ ებმის სახელმწიფოს მიერ გატარებულ მიწოდების მხარის დასაქმების პოლიტიკას და არც მაკროეკონომიკურ პოლიტიკასთან არის მჭიდრო კავშირში. პროგრამების საბოლოო შედეგი გამოხატული უნდა იყოს დასაქმებაზე დადებითი ეფექტით. მონაცემები იმის შესახებ, თუ რამდენი სამუშაო ადგილი შეიქმნა, როგორია ანაზღაურება, სამუშაოების სექტორული განაწილება, როგორია სამუშაო ადგილების შენარჩუნების ტენდენცია ხელმისაწვდომი არ არის. „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს ვებ გვერდზე მოცემულია შეფასების ანგარიში, რომლის მიხედვითაც 2014-2018 წლების განმავლობაში მათ ჯამში 3033 სამუშაო ადგილი შექმნეს. აღნიშნულ პერიოდში მათი მხრიდან მოხდა 338 ბენეფიციარის დაფინანსება (340 პროექტი), თუმცა კვლევის ფარგლებში შესწავლილია 85 ბენეფიციარი. რადგან სრულად არ არის ყველა კომპანია შესწავლილი, ამიტომ პროგრამის საშუალებით დასაქმებულთა ზუსტი მონაცემების დადგენა ვერ ხერხდება. ზოგადად „მეწარმეობის განვითარებაზე ორიენტირებული პროგრამების“ მთავარი მიზანი არის წარმოების გაძლიერება და დასაქმების პოლიტიკაზე აპელირება ნაკლებად კეთდება. აღნიშნული დასტურდება იმით, რომ პროგრამებში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველას, დასაქმების სტატუსის მიუხედავად, მონაწილეობის მიღება ასევე შეუძლიათ არსებულ ბიზნეს სუბიექტებსაც. ევროპულ ქვეყნებში მსგავსი პროგრამებით დაფინანსება გაიცემა უმუშევრად რეგისტრირებულ ადამიანებზე, რომელთაც აქვთ დასაქმების სურვილი და ახალი ბიზნეს წამოწყებით აპირებს შრომით ბაზარზე დაბრუნებას. „აწარმოე საქართველოში“ არსებულ პრიორიტეტულ სფეროები და დასაქმების ხელშეწყობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებულ გადამზადების პროგრამები ნაკლებად არის ურთიერთ კავშირში.

მოსაზრების ახსნა შესაძლებელია იმ გარემოებით, რომ სამუშაო ძალის მომზადება ხდება მოთხოვნად პროფესიებში, ხოლო სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული კომპანიები ჯერ არ არიან იმდენად განვითარებულები, რომ შექმნან დიდი რაოდენობით სამუშაო ადგილები. პროგრამაში მონაწილე კომპანიები მნიშვნელოვან პრობლემად კვალიფიციური სამუშაო ძალის ნაკლებობას ასახელებენ, ხოლო შესაბამისი კადრის გარეშე, საწარმოებისთვის რთულია გაფართოება, წარმოების გაზრდა და ექსპორტზე გასვლა.

შრომისა და დასაქმების დეპარტამენტის მიერ გამოვლენილი მოთხოვნადი პროფესიებია:

ტექნიკური სპეციალობები:

- აგრარული ტექნიკის მექანიკოსი;
- ზეინკალი;
- ამწის მემანქანე;
- დურგალი;
- ზოოტექნიკოსი;
- ფილამწეობი;
- შემდუღებელი;
- კონდიციონერების ექსპერტი;

მომსახურების სფერო:

- ბარმენი;
- გიდი;
- სტილისტი;
- კონდიტერი;
- მცხოველი;
- რესტორნის მენეჯერი;
- ტუროპერატორი;
- ოფისის მენეჯერი;
- საბაჟო საქმე

- ლოჯისტიკა
- ბუღალტრული აღრიცხვა;

მომსახურების სფერო:

- ბაგა-ბაღის აღმზრდელი;
- ექთნის თანაშემწე;
- ფარმაცევტის თანაშემწე;

ციფრული ტექნოლოგიები:

- ვებ-პროგრამისტი;
- კომპიუტერული გრაფიკოსი;
- IT ტექნოლოგი;
- კომპიუტერული ქსელების და სისტემის ადმინისტრატორი;

აგრარული სფერო:

- მევენახე-მელვინე;
- მეფუტკრე;
- რძის გადამამუშავებელი;
- მეტყევე;

სსიპ “აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში გამოვლინდა პრიორიტეტული დარგები:

- საკვები პროდუქტების წარმოება;
- არაალკოჰოლური სასმელების წარმოება;
- სიგარების/სიგარეტების წარმოება;
- მინერალური საწვავი და მათი გამოხდის პროდუქტები
- ქიმიური მრეწველობის პროდუქტები;
- პლასტმასები და მათი ნაწარმი;

- მერქანი და მერქნის ნაწარმი;
- კორპი და მისი ნაწარმი;
- საფეიქრო ნაწარმი;
- ქვის, თაბაშირის, ცემენტის წარმოება;
- არამპირფასი ლითონები და მათი ნაწარმი;
- ელექტროტექნიკური მოწყობილობები;
- მიწისზედა სატრანსპორტო საშუალებები;
- ძვირფასი ლითონები და მათი ნაწარმი;
- სხვადასხვა სამრეწველო საქონელი;
- მინერალური პროდუქტები და მათი წარმოება;

ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნადი პროფესიებისა და დარგების კლასიფიკაციიდან ჩანს, რომ სახელმწიფო ერთის მხრივ ახალისებს გარკვეული დარგების განვითარებას, მეორეს მხრივ ინვესტიციებს ახორციელებს ისეთ სამუშაო ძალის გადამზადებაში, რომელიც ყველაზე მოთხოვნადია. აქ თვალსაჩინო ხდება მიწოდებაზე ორიენტირებული დასაქმების პოლიტიკის გამოწვევები. საჭიროა განისაზღვროს ის პროფესიები, რომლებსაც ვუწოდებთ მოთხოვნადს. ქვეყანაში მოთხოვნადია ისეთ პროფესიები, რომელიც დაბალპროდუქტიული სამუშაოებისთვის არის საჭირო, თუ პროფესიები, რომელზეც მოთხოვნა ამ ეტაპზე დაბალია, მაგრამ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრის პოვნა ძალზედ რთულია, რაც სახელმწიფოს ფინანსური დახმარებით შექმნილ ან გაფართოებულ საწარმოებს წარმოებაში, და შესაბამისად, დასაქმების მაჩვენებლის ზრდაში, ხელს უშლით.

მეწარმეობის განვითარების არსებული პროგრამები ინდუსტრიული პოლიტიკის კრიტერიუმებში ვერ ჯდება. იგი წარმოადგენს სახელმწიფოს სურვილს ხელი შეუწყოს კერძო სექტორის განვითარებას, სადაც მოიაზრება დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა. კვლევებით, თუ ვიმსჯელებთ პროგრამები უმეტესწილად მომსახურების სფეროში მცირე და საშუალო მეწარმეობას უწყობს ხელს. შესაბამისად არსებული დასაქმების პოლიტიკა დაბალპროდუქტიულ და დაბალი დამატებითი ღირებულების მქონე სამუშაო ადგილებს ქმნის. ამიტომ შედეგად შეიძლება მივიღოთ უფრო მეტი სამუშაო ადგილი, მაგრამ არა

აუცილებლად - კარგი. იმისთვის, რომ შეიქმნას მაღალპროდუქტიული სამუშაო ადგილები, აუცილებელია ინდუსტრიული ეკონომიკური პოლიტიკის პარალელურად შემუშავდეს და განხორციელდეს დასაქმების პოლიტიკა. ეს გვადლევს ეკონომიკაში ინოვაციური დარგების აღმოცენების შესაძლებლობას. ასეთ შემთხვევაში მეწარმეობის წახალისება კარგი ეფექტის მომტანი შეიძლება იყოს.

საქართველოში, ძირითადად ევროპული გამოცდილების გაზიარება არის უფრო აქტუალური. განსაკუთრებით დასაქმების პოლიტიკის სფეროში პირდაპირ ხდება დასაქმების პროგრამების გადმოტანა. თუმცა მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ის ფაქტი, რომ ევროპულ ქვეყნებში არსებული ეკონომიკური წინაპირობა მნიშვნელოვნად განსხვავდება საქართველოში არსებული ეკონომიკური მდგომარეობისგან. 1930 - იან წლებიდან ევროპულ ქვეყნებში დასაქმების ხელშეწყობა, ინდუსტრიალიზაციის პარალელურად დაიწყო, რადგან აუცილებელი გახდა ინდუსტრიალიზაციის პროცესში სამუშაო ძალის ეფექტიანი მობილიზება.

დასაქმების პოლიტიკის ეფექტიანობა განპირობებულია ქვეყნის მაკროეკონომიკური პოლიტიკით. თუ არ იარსებებს ინდუსტრიული პოლიტიკა, რომელმაც ეკონომიკა სტრუქტურულად უნდა გარდაქმნას, დასაქმების პოლიტიკა სამუშაო ძალის გადამზადებაზე, თუ მეწარმეების დაფინანსებაზე ორიენტირებული, კონცენტრირებული იქნება დაბალ პროდუქტიულ სექტორზე, რომლებიც ნაკლებად ქმნიან ინოვაციებს, შესაბამისად მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელება ვერ ხდება.

ინდუსტრიული განვითარებისთვის და შედეგიანი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების მიზნით მნიშვნელოვანია პრიორიტეტული ქმედებების განხორციელება:

) ექსპორტზე ორიენტირებული ინდუსტრიული პოლიტიკის შემუშავება, სხვადასხვა დროს საჭირო ხდება გარკვეული სახის დარგებისთვის პრიორიტეტის მინიჭება და ამ სფეროში მოღვაწე კომპანიების დახმარება მათი საექსპორტო პოტენციალის გასაზრდელად, ხოლო ექსპორტის ხელშესაწყობად უნდა გატარდეს შემდეგი სახის პოლიტიკა:

- ⌋ დაფინანსების პოლიტიკა: ექსპორტის პოტენციალის მქონე კომპანიებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ ფინანსებზე. აღნიშნული შეიძლება განხორციელდეს შიდა რესურსებით, ან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვით.
- ⌋ იმპორტის პოლიტიკა: უნდა მოხდეს იმპორტირებულ პროდუქციაზე კონტროლი ადგილობრივი მწარმოებლების დასაცავად.
- ⌋ ექსპორტის პოლიტიკა: უნდა განხორციელდეს შეღავათები ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიებისთვის.
- ⌋ განათლებისა და დასაქმების პოლიტიკა: განათლების სისტემა და დასაქმების სამსახურები შეუფერხებლად უნდა ამზადებდნენ სამუშაო ძალას პრიორიტეტული სფეროებისთვის.

ეკონომიკურ განვითარებასა და დასაქმების პოლიტიკას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. ინდუსტრიალიზაციის წინა პერიოდში, იმისთვის, რომ უმუშევრობა შეემცირებინათ, ყურადღება ექცეოდა ისეთ დაბალ ტექნოლოგიურ სექტორებს, რომელიც დიდი რაოდენობით მუშახელს მოითხოვდა. აღნიშნულის პარალელურად, სახელმწიფომ შესაძლებელია დიდი ინვესტიციები განხორციელოს მოქალაქეების განათლებასა და ისეთი უნარების აღჭურვაში, რაც მათ მომავალში მაღალტექნოლოგიური წარმოების შექმნისა და განვითარების შესაძლებლობას მისცემს. განვითარების გვიან ეტაპზე, სახელმწიფო აღარ ერევა ეკონომიკის განვითარებაში, თუმცა მარეგულირებელი ფუნქცია აკისრია.

მნიშვნელოვანია ეკონომიკაში სტრატეგიული მიდგომა. უნდა მოხდეს ინოვაციური სექტორების განვითარება და გაძლიერდეს შესაბამისი საიმპორტო, სავაჭრო და დასაქმების პოლიტიკით. ამასთან მიწოდების მხარის დასაქმების პოლიტიკის გატარებისას უნდა მოხდეს ადამიანების კვალიფიკაციის მაქსიმალურად ამაღლება, ხოლო მოთხოვნის მხარის დასაქმების პოლიტიკის გატარებისას ინოვაციურ სფეროებში მეწარმეების ხელშეწყობა, რათა მათ შექმნან მეტი ხარისხიანი სამუშაო ადგილი.

მოთხოვნის მხარის დასაქმების პოლიტიკა უნდა შეესაბამებოდეს მიწოდების მხარის დასაქმების პოლიტიკას.

განათლების სამინისტროს ჩართულობა საკმაოდ გასათვალისწინებელია და საჭიროა შემუშავდეს სტრატეგიები იმ მიმართულებით, რომელმაც უნდა უზრუნველყოს უმაღლესი განათლების სტანდარტები. ადამიანისეული კაპიტალი გახდა ეროვნული ეკონომიკის ზრდის მამოძრავებელი ფაქტორი. მისი დაგროვება კი – ქვეყნის ინოვაციური განვითარების და კონკურენტუნარიანობის ზრდისა და მოსახლეობის კეთილდღეობის საფუძველი. ამჟამად ადამიანისეული კაპიტალი განიხილება, როგორც ეკონომიკისა და საზოგადოების განვითარების რთული, ინტენსიური ფაქტორი, ხოლო მისი დონე პირდაპირპროპორციულად აისახება ქვეყნის ეკონომიკის ზრდასა და კონკურენტუნარიანობაზე. იგი მოიცავს საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კულტურული, ინოვაციური და პიროვნული ადამიანისეულ პოტენციალის საფუძველზე დაგროვილ უნარ-ჩვევებს და ცოდნას.

საქართველოში აღსანიშნავია, რომ არსებობს შემდეგი დეფიციტური თანამდებობები: კომპიუტერული ტექნიკის პროფესიონალები, ელექტრონული მოწყობილობების მექანიკოსები, კვების ტექნოლოგები, საფინანსო და ადმინისტრაციული სამსახურების მენეჯერები, მშენებლობის ინჟინრები. კადრების დეფიციტის კიდევ ერთი მიზეზი არის დაბალი ხელფასი და არა პროფესიონალთა დაბალკვალიფიციურობა, რაც დაბალ მოტივაციას იწვევს დასაქმების მსურველებში. ანაზღაურების სიმცირის გამო დასაქმების მსურველთა სიმცირე შეიმჩნევა ძირითადად არაკვალიფიციურ კადრებთან მიმართებაშიც, კერძოდ - მომხმარებლებთან მომუშავე მოსამსახურეები, არაკვალიფიციური მუშები, ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს ნაკლებადკვალიფიციური დასაქმებულები.

როცა დასაქმებას განვიხილავთ, უნდა გამოვყოთ არაფორმალური და არასტანდარტული დასაქმება. არასტანდარტულ დასაქმებაში იგულისხმება შრომითი ურთიერთობების მოწესრიგების მრავალფეროვანი პრაქტიკა, რომელიც სტანდარტული დასაქმებისაგან განსხვავდება. ასეთი შეიძლება იყოს პლატფორმების გამოყენებით მიღებული დასაქმება, როგორცაა: კურიერის, მძღოლების შემთხვევები, არასრულ განაკვეთზე, ან გამოძახებით მიღებული დასაქმება, ასევე ქვეკონტრაქტორების შემთხვევები, როცა შრომითი ხელშეკრულების ნაცვლად გვხვდება მომსახურების

ხელშეკრულებები. ასეთ შემთხვევებში დასაქმებულს ხშირად პარტნიორად, ქვეკონტრაქტორად ან თვითდასაქმებულად მოიხსენიებენ, მაშინაც კი, როცა საქმე გვაქვს შრომით ურთიერთობასთან მშრომელსა და დამსაქმებელს შორის.

არაფორმალური შრომად განიხილება ყველა ის შრომით ურთიერთობა, რომელიც ფორმალური ხელშეკრულების არცერთი ფორმას არ მოიცავს. ასეთი შეიძლება იყოს ფორმალურ საწარმოში დასაქმებული ადამიანი, რომელსაც დამსაქმებელთან ხელშეკრულება არ აკავშირებს, ისევე, როგორც დასაქმებულები მთლიანად არაფორმალურად მოწყობილ საწარმოებში. ეს ორი კატეგორია არის თანმხვედრი. გამოწვევები და პრობლემები ხშირად საზიარო. მისთვის დამახასიათებელი შრომითი პრაქტიკის გამო, მათი ერთმანეთისგან მკაფიოდ გარჩევა ზოგჯერ სამართლებრივადაც შეუძლებელია.

ემპირიული კვლევები მიუთითებს, რომ არაფორმალური ან არასტანდარტული დასაქმების გავრცელების მიღმა ხშირად დამსაქმებლის სურვილი დგას, თავი აარიდოს იმ ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას, რაც სტანდარტულ, ფორმალურ დასაქმებასთანაა დაკავშირებული. (Di Porto, E., Elia, L., & Tealdi, C. (2017).)

არაფორმალური და არასტანდარტული დასაქმება დამსაქმებელს საშუალებას აძლევს:

1. უფრო იოლად დაიქირაოს და გაათავისუფლოს დასაქმებულები შემოსავლის ზრდასთან ან მატებასთან ერთად;
2. დააღწიოს თავი დასაქმებულთათვის დაზღვევისა და სხვა ბენეფიტების მიწოდებას; 3. გადაიხადოს, ასეთის არსებობის შემთხვევაში, მინიმალურ ხელფასზე დაბალი ანაზღაურება;
4. აირიდოს პასუხისმგებლობა საწარმოო ტრავმების შემთხვევაში;
5. უგულებელყოს შრომის კოდექსში გათვალისწინებული სხვა დაცვის გარანტიები, მათ შორის, სამუშაო გრაფიკთან დაკავშირებული ნორმები. (Vallanti, G., & Gianfreda, G. (2020)).

არაფორმალური დასაქმების გავრცელებაში მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ფორმალურ დასაქმებასთან დაკავშირებული ფაქტორები, არამედ არაფორმალური შრომის ბაზრის ხელმისაწვდომობაც.

არაფორმალური დასაქმება ყველაზე მეტადაა გავრცელებული იმ ქვეყნებში, სადაც უმუშევრობის მაჩვენებელი მაღალია, ხოლო არაფორმალური დასაქმების გამოვლენის შემთხვევაში დაწესებული ჯარიმები – დაბალი. ეს გარემოებები დამსაქმებელს უადვილებს, არაფორმალურ ან არასტანდარტულ შრომაზე თანახმა სამუშაო ძალა მოიძიონ და დაასაქმონ. (Stuart H.1982).

არაფორმალური და არასტანდარტული დასაქმების გავრცელებას იწვევს დამსაქმებელთა და დასაქმებულთა მხარეს მოქმედი ფაქტორების ურთიერთბალანსი. სხვადასხვა სახის ჩარევამ, კი შესაძლოა გამოიწვიოს მოცემულობის ცვლილება. მინიმალური ხელფასის დაწესებამ შეიძლება გამოიწვიოს დამსაქმებლის მიერ არაფორმალური დასაქმების ხელშეწყობა, რათა თავიდან აიცილოს ხელფასის გაზრდა. ამასთან ღირსეულმა მინიმალურმა ხელფასმა, შესაძლოა გამოიწვიოს ფორმალური დასაქმების მიმზიდველობა. ამ შემთხვევაში შემცირდება სოციალურ დახმარებაზე დამოკიდებულთა რაოდენობა და მათი ნაწილი დასაქმებულად და გადასახადების გადამხდელად დარეგისტრირდება. მინიმალური ხელფასის დარეგულირება ამ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო გავლენის შეფარდებაზე იქნება დამოკიდებული. მსგავსად შეიძლება იმოქმედოს შრომის ბაზრის გაუმჯობესებისკენ მიმართული ჩარევები, შრომის ინსპექტირება და სამუშაო დროის უფრო მკაცრად დარეგულირება. ამ ინტერვენციების ჯამური გავლენა არაფორმალური და არასტანდარტული შრომის გავრცელებაზე აღსრულების ეფექტიანობასა და სხვა სოციალურ და ეკონომიკურ გარემოებებზეა დამოკიდებული. უნდა აღინიშნოს, რომ არაფორმალური და არასტანდარტული შრომის შეღებვით ფაქტორებია ციფრული და პლატფორმული ტექნოლოგიები. ახალი ტექნოლოგიები შრომის ორგანიზების ახალ შესაძლებლობებს ქმნის. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ სწავლების და საკონსულტაციო ონლაინ პლატფორმები, საკურიერო სერვისები და ა.შ. შრომის ალგორითმული ორგანიზება დამსაქმებელს საშუალებას აძლევს, მშრომელი დაასაქმოს მხოლოდ მაშინ, როცა სჭირდება და უშუალოდ იმ დროის განმავლობაში, რაც კონკრეტული სერვისის გასაწევადია საჭირო. ამასთან, პლატფორმები ქმნის მშრომელთა მონიტორინგის, შეფასებისა და ანაზღაურების ინოვაციურ საშუალებებსაც. საქართველოში არაფორმალური და არასტანდარტული

ეკონომიკის გავრცელების მიზეზები დიდწილად შეუსწავლელია, თუმცა რამდენიმე ფაქტორის გამოყოფა, საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, ამ კონტექსტშიც შესაძლებელია. ციფრული და, განსაკუთრებით, მობილური ტექნოლოგიების გავრცელება საქართველოში მზარდია. კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მონაცემთა მიხედვით, საქართველოში სმარტფონების მოხმარება წლიდან წლამდე იზრდება (Slonimczyk F. 2014).

საქართველოში 2017-2020 წლებში გატარებული შრომის რეფორმა დასაქმებულებს უყენებს ახალ ვალდებულებებს სამუშაო დროის რეგულირების, სამუშაო ადგილის უსაფრთხოებისა მიმართულებით. ამავდროულად, 2019 წლიდან საქართველოში საშემოსავლო გადასახადთან ერთად გროვდება სავალდებულო შენატანები დაგროვებით საპენსიო სისტემაში, რომელსაც დასაქმებული და დამსაქმებელი ინაწილებენ. შრომითი კანონმდებლობის გამკაცრების შესაძლო გვერდითი ეფექტი, რომელმაც შესაძლებელია განაპირობოს არაფორმალური და არასტანდარტული დასაქმების ზრდის ინტერესი, მნიშვნელოვანია საქართველოს შემთხვევაშიც.

უმუშევრობის მაღალი დონე, იძლევა არაფორმალური დასაქმების ხელშეწყობის საშუალებას.

საქართველოში არაფორმალური შრომის გავრცელებას განაპირობებებს ისტორიული ფაქტორებიც. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, საქართველოში ფორმალური დასაქმების რადიკალური შემცირება მოყვა. დამოუკიდებლობის პირველი 10 წლის განმავლობაში დასაქმება ფორმალურ სექტორში 91 პროცენტიდან 57 პროცენტამდე შემცირდა. (ქარჩილაძე ნ., 2018). სახელმწიფო ინსტიტუტების რღვევამ და სოციალურ-ეკონომიკურმა კრიზისმა მოსახლეობის ნაწილი სამსახურისა და შემოსავლის, ნაწილი კი – იძულებით გადაადგილებულ პირთა შემთხვევაში – სახლ-კარის გარეშე დატოვა.

დასაქმების შესახებ საკითხების განხილვისას, მნიშვნელოვანი ხდება შრომის ბაზრის პოლარიზაციის ხარისხის განსაზღვრა საქართველოში. პოლარიზაცია დასავლეთის განვითარებულ ეკონომიკაში მწვავე პრობლემად სახელდება. საქართველოში, ისევე, როგორც სხვა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში პოლარიზაციის ხარისხი გაცილებით მაღალია. ეს იმას ნიშნავს, რომ დაბალკვალიფიციური სამუშაო ადგილებიდან უფრო

მაღალკვალიფიციურზე გადასვლის შესაძლებლობები მცირდება და სამუშაო ძალის წინსვლა რთულდება. აღნიშნული განაპირობებს, იმას, რომ სამუშაო ძალის უმეტეს ნაწილს, რომელიც დამწყები პოზიციიდან იწყებს კარიერას, შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის გარეშე, დიდი ძალისხმევა დაჭირდება თავი შეცვალოს არსებული პოზიცია და დასაქმების უფრო კარგი შესაძლებლობები იპოვოს კარიერის შემდგომ ეტაპზე. სამუშაო ძალისთვის კვალიფიკაციის და უნარების გაძლიერებაზე მიმართულ პროგრამებზე ხელმისაწვდომობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

2000-იანი წლების დასაწყისში აღმოაჩინეს, რომ ევროპისა და აშშ - ის შრომის ბაზარზე სწრაფად იკლებდა საშუალო კვალიფიკაციის სამუშაო ადგილების რაოდენობა, ხოლო მაღალი და დაბალკვალიფიციური სამუშაო ადგილების რაოდენობა სწრაფად იზრდებოდა. გუსმა და მენინგმა ამ მოვლენას „სამუშაო ადგილების პოლარიზაცია“ უწოდეს.

სამუშაო ადგილების კლასიფიკაცია ძირითადად საჭირო უნარებისა და კვალიფიკაციის მიხედვით ხდება. ამ მიზნით ხშირად გამოიყენება პროფესიათა საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი (ISCO), რომელიც უნარების 4 დონეს გამოყოფს. სამუშაო ადგილები, რომლებიც 1-ლი დონის უნარებს (მარტივი ფიზიკური დავალებების შესრულება) საჭიროებს, დაბალკვალიფიციურ სამუშაო ადგილებად მიიჩნევა. ასეთებია, მაგალითად: დამლაგებლები, სამზარეულოს დამხმარეები, ხილის მკრეფავები და ა.შ.). სამუშაო ადგილები, რომლებიც მეორე და მესამე დონის უნარებს მოითხოვს, საშუალო კვალიფიკაციის სამუშაო ადგილებია. მათ შესასრულებლად საჭიროა უფრო მაღალი არითმეტიკული და წერა-კითხვის უნარები, თუმცა ასევე ხშირია რუტინული ფიზიკური დავალებების შესრულება. ასეთი სამუშაოებია, მაგალითად: მდივანი, ბუღალტერი, მკერავი, ამწის ოპერატორი და ა.შ. და ბოლოს, მე-4 დონის უნარები მოიცავს პრობლემების გადაჭრის, გადაწყვეტილების მიღებისა და სხვა ანალიტიკურ უნარებს. სამუშაოები, რომელთა შესასრულებლად მსგავსი ტიპის უნარებია საჭირო, მაღალკვალიფიციურია და მაგალითად, მოიცავს: სხვადასხვა პროფილის მენეჯერებს, პროგრამისტებს, მასწავლებლებს და ა.შ. https://osp.stat.gov.lt/documents/10180/2905525/ISCO_88COM_A_Guide_for_Users.pdf.

შრომის ბაზრის პოლარიზაციას ორი ძირითადი ფაქტორი განაპირობებს.

- ✓ პოლარიზაცია შეიძლება გამოწვეული იყოს მულტინაციონალური კომპანიების შექმნით, რაც გულისხმობს წარმოების შედარებით დაბალი განვითარების ქვეყნებში გადატანას, რის გამოც საწარმოებში საშუალო რგოლის პოზიციები კლებულობს;
- ✓ ტექნოლოგიების განვითარება, რომელიც შესაძლებლობას იძლევა ფიზიკურად შესრულებული რუტინული ტიპის შრომა სხვადასხვა თანამედროვე პროგრამებით ჩანაცვლდეს, რასაც სამუშაოს ავტომატიზების პროცესი ეწოდა (Autor & Katz, 1999, Goos et.al. 2014).

ავტომატიზირება პირველ რიგში ისეთ სამუშაო ადგილებს ემუქრება, რომლებიც რუტინული დავალებების შესრულებას მოითხოვს, ეს კი ძირითადად საშუალო კვალიფიკაციების მქონე სამუშაო ადგილებს მიემართება. ამდენად, საშუალო რგოლი ან იმის გამო მცირდება, რომ მას მანქანა/ტექნოლოგია ანაცვლებს, ან იმის გამო, რომ მთლიანად სამუშაო პროცესის ოფშორინგი ხდება. დაბალკვალიფიციურ პოზიციებს ეს საფრთხე არ ემუქრება, რადგან ისინი უმეტესწილად მომსახურების სფეროშია თავმოყრილი და ხშირად ფიზიკურ შრომას მოითხოვენ, ხოლო მისი ავტომატურ რეჟიმში გადაყვანა რთულია.

დიდი ხნის განმავლობაში პოლარიზაცია განვითარებული ქვეყნებისთვის დამახასიათებელ მოვლენად ითვლებოდა. თუმცა 2016 წელს მსოფლიო ბანკმა გამოაქვეყნა ანგარიში, სადაც გამოიკვეთა ის ფაქტი, რომ პოლარიზაცია დამახასიათებელი იყო განვითარებად ქვეყნებისთვისაც (World Bank, 2016). განვითარებადი ეკონომიკის შემთხვევაში შრომის ბაზრის პოლარიზაციის მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება ნებისმიერი კვლევის მეთოდის გამოყენებისას.

უმაღლესი რგოლის მენეჯერები, მაღალი თანამდებობის პირები და კანონმდებლები	3 848.9
ადმინისტრაციული და კომერციული მენეჯერები	2 312.6
წარმოებისა და სპეციალიზებული მომსახურების მენეჯერები	2 010.8

სასტუმროების, საცალო ვაჭრობისა და სხვა მომსახურებების მენეჯერები	1 472.7
სპეციალისტი-პროფესიონალები	1 333.7
მეცნიერებისა და ტექნიკის (ინჟინერიის) სპეციალისტი-პროფესიონალები	1 568.1
ჯანმრთელობის დაცვის სფეროს სპეციალისტი-პროფესიონალები	1 446.7
განათლების სპეციალისტები	994.4
ბიზნესისა და ადმინისტრირების სპეციალისტები	1 422.4
ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სპეციალისტები	2 268.4
სამართლის, სოციალური და კულტურის სფეროების სპეციალისტები	1 411.7
ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები	1 193.7
მეცნიერების და ტექნიკის დამხმარე სპეციალისტები	1 516.9
ჯანმრთელობის დაცვის დამხმარე სპეციალისტები	862.6
ბიზნესისა და ადმინისტრირების დამხმარე სპეციალისტები	1 153.8
სამართლის, სოციალური, კულტურისა და მონათესავე დარგების დამხმარე სპეციალისტები	1 209.3
ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ტექნიკოსები	1 705.8
ოფისის დამხმარე პერსონალი	1 144.6
ზოგადი პროფილის და ტექსტის ამკრეფი კლერკები	1 171.6
მომხმარებელთა მომსახურების სფეროს კლერკები	1 407.3
რიცხოვრივი ინფორმაციის დამუშავების და მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის სფეროს მუშაკები	905.1
ოფისის სხვა დამხმარე პერსონალი	934.7

მომსახურებებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული პირები	911.6
პირადი მომსახურებების სფეროში დასაქმებული პირები	814.5
გაყიდვების სფეროს სპეციალისტები	940.6
ინდივიდუალური მომვლელები	499.9
მოსახლეობისა და საკუთრების დამცველი სამსახურების მუშაკები	985.3
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის კვალიფიციური მუშაკები	791.5
ბაზარზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობის კვალიფიციური მუშაკები	760.0
ბაზარზე ორიენტირებული მეტყევეობის, მეთევზეობისა და ნადირობის სფეროებში დასაქმებული კვალიფიციური მუშაკები	1 036.1
ხელოსნები და მონათესავე სფეროების მუშები	1 178.6
მშენებლობისა და მონათესავე სფეროების მუშები (გარდა ელექტრიკოსებისა)	1 361.4
ლითონის დამამუშავებელი მრეწველობის, მანქანათმშენებლობის და მონათესავე სფეროების მუშები	1 334.5
ხელოსნები და პოლიგრაფიული წარმოების მუშები	1 008.7
ელექტრული და ელექტრონული მოწყობილობების სფეროების მუშები	1 244.1
კვების, ხის დამამუშავებელი, ტექსტილისა და სამკერვალო მრეწველობის და მონათესავე სფეროების ხელოსნები და მუშები	769.4
დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორები და ამწყობები	1 112.1

სტაციონარული სამრეწველო დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორები	1 149.7
ამწყობები	1 122.6
მძღოლები და მოძრავი დანადგარების ოპერატორები	1 097.7
არაკვალიფიციური მუშაკები	674.1
დამლაგებლები და დამხმარეები	474.0
სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობისა და მეთევზეობის სფეროთა არაკვალიფიციური მუშები	683.1
სამთო-მოპოვებითი მრეწველობის, მშენებლობის, დამამუშავებელი მრეწველობის და ტრანსპორტის სფეროთა არაკვალიფიციური მუშები	1 077.1
მზარეულების დამხმარეები	624.6
ქუჩაში მომსახურების გამწევი და მონათესავე სფეროების გაყიდვებისა და მომსახურების სფეროში დასაქმებულები	510.5
ნარჩენების გამტანები და სხვა არაკვალიფიციური მუშები	848.5

ცხრილი №3.2.1 დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი დაკავებული თანამდებობების/პოზიციების მიხედვით, 2021;

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;

საქართველოში არსებული პოლარიზაცია, ვერ იქნება გამოწვეული საშუალო რგოლის ოფშორინგით, რადგან ქვეყანაში წარმოება არ არის პრიორიტეტულად განვითარებული. საქართველოს ადგილი გლობალიზაციაში განსაზღვრავს სამუშაო ადგილების არსებულ პოლარიზაციას.

შრომის ბაზრის პოლარიზაციის მნიშვნელოვან განმაპირობებლად ტექნოლოგიები მოიაზრება. მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით, სამუშაო ადგილების დაახლოებით 40% საქართველოში ავტომატიზებას ექვემდებარება (World Bank, 2016).

რაც უფრო მაღალია დასაქმებულის განათლების და კვალიფიკაციის ხარისხი, მით უფრო დაბალია მისი სამუშაოს ავტომატიზების რისკი. ხოლო ტექნოლოგიების გავრცელებას განსხვავებული ეფექტი აქვს სხვადასხვა კვალიფიკაციების მქონე მუშაკებზე. იგი დადებითი მოვლენაა მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალისთვის, რადგან ზრდის მათ პროდუქტიულობას და აქედან გამომდინარე ხელფასსაც, დაბალკვალიფიციური კადრის საჭიროებას კი ამცირებს.

აღნიშნული ეფექტი გამოვლინდა საქართველოს შემთხვევაშიც, როდესაც კომპანიების ინტერნეტიზაცია და მათი ელექტრონულ კომერციაზე გადასვლა შეისწავლეს. ამდენად, ტექნოლოგიების განვითარება მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქართული შრომის ბაზრის პოლარიზებაში (Coville et. al. (2019)).

შრომის ბაზრის პოლარიზაცია რაღა თქმა უნდა დასაქმებულთა უმეტესობაზე არ ისახება დადებითი ეფექტით. მაღალკვალიფიციური მუშაკებისთვის ახალი ტექნოლოგიები პროდუქტიულობის ზრდის შესაძლებლობას იძლევა. ხოლო ის დასაქმებულები, რომელთაც უნარებისა და კვალიფიკაციების დაბალი დონე აქვთ, მარტივად ჩანაცვლებადი ხდებიან, რაც უფრო მეტად ასუსტებს შრომის ბაზარზე მათ დამკვიდრებას.

პოლარიზაცია შრომის ბაზარზე ასევე ზრდის სახელფასო სხვაობას დაბალ და მაღალკვალიფიციურ მუშაკებს შორის, რაც არცთუ სასიკეთო მოვლენაა ისეთი ქვეყნისათვის, სადაც ეკონომიკური უთანასწორობის მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით იცვლება კონკრეტულ სამუშაო ადგილებზე დასაქმებულთა მიერ შესრულებული დავალებების სახეები.

დაბალ კვალიფიციური სამუშაო ძალა შრომის ბაზარზე სამუშაოს დაკარგვის რისკის ქვეშ იმყოფება. საჭიროა მათ კვალიფიკაციის დონის ამაღლება. იგი მოიცავს ცვლილებებს როგორც საგანმანათლებლო სისტემაში, ისე კონკრეტულ ქმედებებს, რომელიც სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლებაზეა მიზანმიმართული. მოქალაქეებს ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა ახალი უნდარების შესაძენად. სამუშაო ძალის უნარების განვითარება სრულყოფილად ვერ მოხერხდება დამსაქმებლების

მონაწილეობის გარეშე, რადგან მათ აქვთ ზუსტი ინფორმაცია, თუ როგორი ტიპის კადრია კონკურენტული შრომის ბაზარზე. ამიტომ სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს სამუშაო ძალის განათლების და კვალიფიკაციის დონის ამაღლების პოლიტიკა.

საქართველოსთვის გაცილებით ადეკვატურია მინიმალური ხელფასის შესახებ დისკუსია, რომელიც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია ეკონომიკური უთანასწორობის შესამსუბუქებლად. მინიმალურ ხელფასს ასევე მნიშვნელოვანი გავლენა შეიძლება ჰქონდეს სოციალური დახმარების მიმდებთა ეკონომიკურ გააქტიურებაზე, რადგანაც ამჟამად დასაქმებით მიღებული ხელფასი მოსახლეობის ამ ჯგუფისათვის სოციალურ დახმარებაზე ბევრად მეტი არ არის, ამიტომ მათი მოტივაცია, შეუერთდნენ ფორმალურ შრომის ბაზარს, ნაკლებია (sao.ge/files/auditi/auditis-angarishebi/2016/tb-socialuridaxmarebebi.pdf). შესაბამისად, მინიმალური ხელფასის შემოღება ქვეყნის სოციო-ეკონომიკური მახასიათებლების გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს.

სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს სამუშაო ძალის კვალიფიკაციების განვითარების თანამედროვე და ქვეყნისთვის შესაბამისი პოლიტიკა, რომელიც ადამიანს მისცემს შესაძლებლობას, კარიერის ყველა ეტაპზე აიმაღლოს კვალიფიკაცია, ან შეძლოს ახალი პროფესიის დაუფლება. სამუშაო ძალის მომზადების პროცესში განმსაზღვრელია კერძო სექტორის ჩართვა, ამისთვის სახელმწიფომ მის მიერ შემუშავებული პოლიტიკით კერძო სექტორს უნდა შესძინოს მოტივაცია, რათა მან ინვესტირება განახორციელოს სამუშაო ძალის მომზადებაში. თუ აღნიშნული პოლიტიკა წარმატებით განხორციელდება, არ ნიშნავს რომ პოლარიზაცია აღმოიფხვრება. ამიტომ მნიშვნელოვანია მთავრობამ განიხილოს მინიმალური ხელფასის შემოღების იდეა, რომელიც გაზრდილ ეკონომიკურ უთანასწორობას დაარეგულირებს.

მსოფლიო ბანკმა HCP (Human Capital Project) -ის ანგარიშის ფარგლებში საქართველოს ადამიანისეული კაპიტალის შესახებ 2022 წელს ახალი მიმოხილვა გამოაქვეყნა, სადაც შეაფასა საქართველოს ადამიანისეული კაპიტალი, მათ შორის ქვეყნის მოსახლეობის უნარები, ცოდნა და გამოცდილება ქვეყნის საერთო ფასეულობების და ღირებულებების გათვალისწინებით. ანგარიშში აღწერილია, რომ განათლებაში შეინიშნება

პროგრესი, ხაზ გასმულია განათლების მნიშვნელობა და აღნიშნულია, რომ საქართველომ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვის მაღალ მაჩვენებელს მიაღწია. ანგარიშში ნათქვამია, რომ უმაღლესი განათლების ხარისხი „ევროკავშირის და ევროპისა და ცენტრალური აზიის ბევრი ქვეყნის მაჩვენებელს მნიშვნელოვნად ჩამორჩება“. შესაბამისად განათლების დაბალი ხარისხი გავლენას ახდენს ადამიანის შემოსავლებსა და დასაქმების შესაძლებლობებზე. ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ საქართველოში ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვანი რეფორმები იქნა განხორციელებული და საჭიროა ქვეყანამ კვლავ განაგრძოს რეფორმების გატარება, რადგან ადამიანისეული კაპიტალის განსავითარებლად შეიქმნას სამართლიანი გარემო.

დოკუმენტის მიხედვით საჭიროა გაიზარდოს სოციალურ სექტორებში ხარჯების ეფექტიანობა და სამართლიანობა, გადახედილ იქნეს დეცენტრალიზაციის პროცესი, გამოყენებულ იქნეს თანამედროვე ტექნოლოგიების შესაძლებლობები, გაუმჯობესდეს სოციალური სფეროს სამუშაო ძალის მართვა, გაძლიერებულ იქნეს დარგთშორისი კოორდინაცია და თანამშრომლობა, მომზადებულ იქნეს კრიზისულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმები (The World Bank, Georgia, Human Capital Review 2022).

